პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 სექტემბერი
კვირა
1971
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 204 (15114)

მშვიდობის განმტკიცების დიდი ნაბიჯი

ПРАВДА

4 სექტემბრის მოწინავე

საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გუშინ ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას საკითხებზე, რომლებიც დასავლეთ ბერლინს ეხება. შეთანხმებას ცხოველი ინტერესით სწავლობენ და განიხილავენ ყველა ქვეყნის პოლიტიკური წრეები, საზოგადოებრიობა და პრესა.

დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგება, უეჭველია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ჩვენს კონტინენტზე უშიშროების გამტკიცებისათვის. უკვე დამთავრებული მოლაპარაკების მონაწილეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ომისშემდგომი საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემაზე. დასავლეთი ბერლინი მრავალი წლის განმავლობაში ასრულებდა „საფრონტო ქალაქის" როლს. მეოთხედი საუკუნის მანძილზე დასავლეთის გარკვეული წრეები მას იყენებდნენ ვითარების გამწვავებისათვის, იმ ღონისძიებათა ჩაფუშვისათვის, რომლებსაც ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები ევროპის მიწაწყალზე დაძაბულობის შენელებისათვის, დასავლეთ ბერლინის საკითხზე შეთანხმების მიღწევა კვლავ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ თუ მხარეები კეთილ ნებას გამოიჩენენ, შესაძლებელია გადაწყდეს რთული საერთაშორისო პრობლემები.

შევახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირს ეკუთვნის დასავლეთ ბერლინის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების მოწყობის ინიციატივა, რასაც მოჰყვა შეთანხმების დადება. მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას ეს მიაჩნია ჩვენი ქვეყნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა პრინციპული ხაზის დამაჯერებელ დადასტურებად დაძაბულობის შენელებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობაზე გამოსვლის დროს ბერლინში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთობლივი შეთანხმებული ღონისძიებანი მიზნად ისახავენ იმას, რომ დასავლეთი ბერლინი აღარ იყოს დაძაბულობისა და კრიზისული სიტუაციების დეტონატორი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქალაქისა და მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, — რა თქმა უნდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ინტერესებისა და სუვერენული უფლებების ჯეროვანი გათვალისწინებით.

შეთანხმების შინაარსი ადასტურებს, რომ შემუშავებულია ეფექტიანი საფუძველი ვითარების ნორმალიზაციისა და გაუმჯობესებისათვის დასავლეთ ბერლინში და მასთან დაკავშირებით. შეთანხმება არ ლახავს მხარეთა პრინციპულ, პოლიტიკურ და იურიდიულ პოზიციებს დასავლეთ ბერლინის საკითხში. იგი მიზნად ისახავს აღმოიფხვრას წინააღმდეგობებისა და დაძაბულობის წყარო კონტინენტის ცენტრში და ამის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული გაუმჯობესებანი დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისათვის.

შეთანხმებაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ დასავლეთ ბერლინი არ ეკუთვნის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, გათვალისწინებულია ამ ქალაქში მისი პოლიტიკური საქმიანობის შეკვეცა, რომელიც, როგორც ცნობილია, სერიოზულ გართულებებს იწვევდა, სიძნელეებს უქმნიდა დასავლეთბერლინელებსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას.

შეთანხმება სახავს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნიკაციებით სატრანზიტო მიმოსვლას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის. უმჯობესდება დასავლეთ ბერლინის კავშირი გარესამყაროსთან, კერძოდ მის უშუალო გარემოცვასთან. შეთანხმება ხელს არ უშლის ნორმალური ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობების დამყარებას დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, თუ დაცული იქნება შეთანხმებაში ჩამოყალიბებული პრინციპულად მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ ეს ქალაქი არ ეკუთვნის ფედერაციულ რესპუბლიკას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს მართოს და ვერც მართავს მას მომავალში.

მიღებული დოკუმენტი ითვალისწინებს თანამედროვე ევროპაში არსებულ ტერიტორიულ და პოლიტიკურ რეალობას. იგი ითვალისწინებს აგრეთვე მშვიდობისმოყვარე გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და ინტერესების პატივისცემას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმება „ხელს უწყობს ვითარების შემსუბუქებას ევროპის ცენტრში". ამასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნა, რომ მზად არის, ისევე როგორც წინათ, კონსტრუქციული წინადადებებითა და მოლაპარაკებით წვლილი შეიტანოს ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების რეალიზაციაში, რომელიც სავსებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს.

საერთაშორისო გამოხმაურებებში აღნიშნულია, რომ მიღწეული შეთანხმება შედეგია რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებისა, რომელიც დაახლოებით წელიწადნახევარს გრძელდებოდა. მოლაპარაკების დროს მოხერხდა მხარეებისათვის ურთიერთმისაღებ ინტერესთა ბალანსის გამონახვა. ამიტომ საფუძველს მოკლებულია დასავლეთის ზოგიერთი კომენტატორის მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო მეტად ან ნაკლებად მოიგო ამ შეთანხმებით, არსებითად მოიგო ყველამ, ვისაც აინტერესებს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება, ვისაც სურს დასავლეთ ბერლინი ხედავდეს ევროპის დაძაბულობის შენელების მონაწილედ, ვინც იბრძვის სახელმწიფოთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისათვის რეალისტურ საფუძველზე და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული წრეები, შეთანხმება დასავლეთ ბერლინის საკითხზე არახელსაყრელი შეიძლება იყოს მხოლოდ რევანშისტული და ნეონაცისტური ძალებისათვის, „ცივი ომის" აღორძინების დამცველებისათვის. მაგრამ ახლა ისინი როდი განსაზღვრავენ განვითარების ძირითად ტენდენციებს ევროპის კონტინენტზე. დასავლეთის, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შეთანხმება დასავლეთ ბერლინის საკითხზე სპობს „სერიოზულ დაბრკოლებას ევროპაში დაძაბულობის შენელებისათვის", რთულ მდგომარეობაში აყენებს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის მოწინააღმდეგეებს, სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის მოწინააღმდეგეებს.

ევროპის ხალხები, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, ფართო პოლიტიკური წრეები, პრესის ბევრი ორგანო დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგებას კმაყოფილებით გამოეხმაურნენ. მას მიესალმებიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები. მიღწეული შეთანხმება მათ მიაჩნიათ ევროპის ვითარებაში პოზიტიური ძვრების მიღწევისათვის თავიანთი საერთო საგარეო პოლიტიკური ხაზის კიდევ ერთ პრაქტიკულ გამოხატულებად. მშვიდობის ძალების წარმატებად მიაჩნიათ მიღწეული შეთანხმება კომუნისტურ და მუშათა პარტიებს. დასავლეთ ბერლინის საკითხზე ხელმოწერილ შეთანხმებას იწონებენ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები და საპარლამენტო წრეები.

ამ დიდმნიშვნელოვანი შეთანხმების რაც შეიძლება მალე ძალაში შესვლა შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს. მისი ხელმოწერა ამტკიცებს მათს იმედებს, რომ დადებითად გადაწყდება ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის სხვა მოუწესრიგებელი და მომწიფებული პრობლემები, რომ ევროპა გადაიქცევა მტკიცე მშვიდობის ზონად, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის რაიონად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება და მისი ორგანიზაციის სრულყოფა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე შეჯიბრება მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, სოციალისტური კოლექტივიზმის ფორმირების მძლავრი საშუალება იყო და არის. იგი მუდამ იყო საწარმოო ძალების აღმავლობის, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა აღზრდის, წარმოების მართვაში მათი ჩაბმის ეფექტიანი მეთოდი. სოციალისტური შეჯიბრება წარმოშობს მასებში შრომით ენთუზიაზმს, შემოქმედებას, ავლინებს მილიონობით მოწინავეს და ნოვატორს, რაციონალიზატორსა და გამომგონებელს. „სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — წარმოშვა კაცობრიობის ისტორიაში არნახული მასობრივი შრომითი ენთუზიაზმის ისეთი გამოვლინებანი, როგორიც არის სტახანოვური მოძრაობა, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის და სხვ. განვლილმა ხუთწლედმა ამ მხრივ ბევრი რამ მოგვცა ახალი. შრომით შეჯიბრებას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გაქანება მიეცა".

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ძალებისა და ენერგიის ახალი მოზღვავება, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. უკანასკნელ წლებში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები ჩაებნენ ბრძოლაში იმ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც XXIV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარეობენ. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულებანი იკისრეს 1971 წელს აწარმოონ და გეგმის გადამეტებით გაასაღონ 5,5 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობით გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის; მაგნიტოგორსკისა და ბალხაშის კომბინატების მეტალურგთა პატრიოტულ წამოწყებას — ლითონის გამოშვების გადიდებისათვის, სორტამენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის; დონბასისა და კუზბასის მეშახტეთა თაოსნობას — შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის, საწარმოებისა და აგრეგატების საპროექტო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისებისათვის; ნოვოსიბირსკის საწარმოთა ინიციატივას შრომითი პროცესების კომპლექსური სრულყოფისათვის; შჩეკინოს ქიმიური კომბინატის კოლექტივის წამოწყებას მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის; სარატოვის ოლქის მშრომელთა თაოსნობას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ურალელ მანქანათმშენებელთა თაოსნობას სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის და სმოლენსკელ მშენებელთა წამოწყებას ამ საქონლის წარმოების ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის; ივანოვოს ოლქის ფეიქართა წამოწყებას, რომლებმაც შეიმუშავეს და წარმატებით ასრულებენ დაძაბულ გეგმავალდებულებებს, რომლებიც აღემატებიან საკონტროლო დავალებებს; დასავლეთ ციმბირის მაგისტრალის რკინიგზელთა წამოწყებას დამატებითი ტვირთების გადაზიდვისათვის სავაგონო პარკის რეზერვების გამოსაძებნად; უკრაინის, ყაზახეთის, ლიტვის, ყუბანისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა თაოსნობას მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია მოძრაობა საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სამუშაო ადგილებზე შრომის ნაყოფიერების გადიდების კომპლექსური გეგმების საფუძველზე, რამაც ფართო გაქანება ჰპოვა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, თბილისის, ტაშკენტის, რიგის, სვერდლოვსკის, გორკის, ნოვოსიბირსკისა და სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოებში. კომპლექსური გეგმები ითვალისწინებენ მოწყობილობის მოდერნიზაციას, მაღალი წარმადობის აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებას, ტექნოლოგიის სრულყოფას, სამუშაო დროის დაზოგვას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და მომიჯნავე პროფესიების დაუფლებას. ეს გეგმები წარმოების შინაგანი რეზერვების ძიებასა და გამოყენებაში მშრომელთა მონაწილეობის ქმედითი საშუალებაა, მუშათა, სპეციალისტთა და წარმოების ხელმძღვანელთა ურთიერთვალდებულებების კონკრეტული ფორმაა, მათი ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ხელშეკრულებაა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ეფექტიანი ფორმები გახდა კონკურსები პროფესიებში, სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების გამოფენები, მასობრივი მოძრაობა „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ახალგაზრდების ძიება".

სულ უფრო ფართოდ ვითარდება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების შეჯიბრება წარმოების აღმავლობისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის, მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

ამასთანავე წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე მისი ეფექტიანობის ამაღლების კურსი, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად უსახავს კიდევ უფრო სრულყონ სოციალისტური შეჯიბრება, აღმოფხვრან მის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი.

ბევრი პარტიული და პროფკავშირული ორგანო ღრმად ვერ სწვდება სოციალისტური შეჯიბრების შინაარსს, ვერ ითვალისწინებს მისდამი გადიდებულ მოთხოვნებს, რომლებსაც ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი და, უწინარეს ყოვლისა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახავს. შეჯიბრების მონაწილენი ჯეროვნად არ წარმართავენ ძალებს იმისათვის, რომ გადაწყვიტონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარების, ახალი ტექნიკის, ახალ სახეობათა პროდუქციის შექმნისა და ათვისების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის ამოცანები, დროზე შეასრულონ კოოპერირებული მიწოდებანი, განამტკიცონ შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინა, მიაღწიონ წარმოების დასახულ მოცულობებს მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად.

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მთელ რიგ საწარმოებში შეჯიბრებას ჯეროვნად ვერ იყენებენ წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და უფრო სრულად გამოყენებისათვის. არასაწარმოო სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეჯიბრება ჯერ კიდევ არ გამხდარა მშრომელთა მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლების ქმედითი საშუალება.

ზოგიერთი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად ვერ აფასებენ სოციალისტური შეჯიბრების სოციალურ და აღმზრდელობით როლს, მის მნიშვნელობას მშრომელთა ინიციატივის განვითარებისათვის, წარმოების მართვაში მათი ჩაბმისათვის, მშრომელთა შეგნების ამაღლებისათვის. საკმაოდ არ იყენებენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საამქროების, ბრიგადების კოლექტივებს შორის, ცალკეულ მუშებს, კოლმეურნეებს შორის შეჯიბრების ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკას. არღვევენ ხოლმე შეჯიბრების დემოკრატიულ საფუძვლებს. არის შემთხვევები, როცა პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელები მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა ფართო მასებს არ აბამენ კოლექტივების შეჯიბრებისა და სოციალისტური ვალდებულებების პირობების შემუშავებაში, მათი შესრულების შემოწმებასა და შედეგების შეჯამებაში. შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებს იშვიათად განიხილავენ მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე.

ასეთი ნაკლოვანებანია შეჯიბრების მონაწილეთა წახალისებაში. მატერიალური სტიმულირების ფონდების გამოყენება ზოგიერთ საწარმოში სათანადოდ არ არის დაკავშირებული შეჯიბრების პირობებთან და შედეგებთან. პრემიებს შეჯიბრების შედეგების მიხედვით ხშირად აძლევენ ისე, რომ საკმაოდ არ ითვალისწინებენ კოლექტივისა თუ ცალკეული მუშაკის ნამდვილ შრომით წვლილს. ხშირად ჯეროვნად ვერ აფასებენ შრომის მორალურ სტიმულებს, ყოველთვის თანმიმდევრულად და სწორად როდი იყენებენ მორალური წახალისების არსებულ სისტემას. ხშირად ვერ უზრუნველყოფენ მატერიალური და მორალური წახალისების ჯეროვან შეხამებას. გარდამავალი წითელი დროშების, საპატიო სიგელებისა და პრემიების გადაცემა, გამარჯვებულთა შეტანა საპატიო წიგნებში და საპატიო დაფაზე ზოგჯერ ხდება ფორმალურად, სათანადო საჯაროობის დაუცველად. ბევრ კოლექტივში შესუსტდა მომთხოვნელობა კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების წოდებათა დადასტურების და მინიჭების დროს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების პრაქტიკაში. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები ბევრ შემთხვევაში ხანგრძლივი დროის მანძილზე არ სცილდება საწარმოს ფარგლებს, არ არის გათვალისწინებული გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების დროს. ამავე დროს ახალ თაოსნობას ავრცელებენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ ეკონომიურ მიზანშეწონილობას და კონკრეტულ ადგილობრივ პირობებს. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და საბჭოები ჯეროვნად არ სწავლობენ და არ ავრცელებენ საუკეთესო კოლექტივებისა და ცალკეული მუშების გამოცდილებას, ნაკლებად მოითხოვენ საწარმოთა ხელმძღვანელობისაგან, რომ გულმოდგინედ დანერგონ მოწინავეთა მიღწევები.

საკმარისად არ ამუშავებენ სოციალისტური შეჯიბრების თეორიულ პრობლემებს, ნაკლებად აშუქებენ მისი ორგანიზაციის პრაქტიკულ გამოცდილებას ლიტერატურასა და პერიოდულ პრესაში, კინოში, რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ კიდევ უფრო განავითარონ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა, გაშალონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ უნდა შეასრულოს თვისებრივად ახალი როლი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მშრომელთა აღზრდაში, სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიმართულება უნდა იყოს მშრომელთა დარაზმვა შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომითი დანახარჯების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მომჭირნეობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი კოლექტივების ინიციატივას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის, სახალხო მოხმარების კეთილხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდებაში ეკონომიკის მოთხოვნილებებისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ მშრომელთა აქტივობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში. გულმოდგინედ უნდა ვეცადოთ, რომ თვითეულ საწარმოო და სამეცნიერო კოლექტივში შევქმნათ მასობრივი შემოქმედებითი ძიების, ტექნიკური და მეცნიერული კონსერვატიზმისადმი, უძრაობისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის — მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის ნამდვილად შემოქმედებითი სულისკვეთების შექმნის აუცილებელი პირობის გაუმჯობესებას.

სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა ღონისძიებანი უნდა მოვახმაროთ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის ვადების

(დასასრული მე-2 გვერდზე).

5 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკები შესანიშნავი შრომითი მიღწევებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს. სურათებზე: ქვემოთ — ტრესტ „საქნავთის" ღრმა ბურღვის საძიებო კანტორის № 3 ბაბურღილის მოწინავე ბრიგადის წევრები მბურღავები (მარცხნიდან) ა. იმედაშვილი, ს. ავაქოვი, მ. ჭიაურელი, რ. შიოშვილი.

ზემოთ — მიმდინარეობს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა თელავის მიმართულებით. ამ ობიექტზე თავდადებით შრომობს მთავარგაზის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის რუსთავის სამმართველოს კოლექტივი.

(წერილები საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის კოლექტივების საქმიანობის შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე).

ფოტო ო. ტეტელაშვილისა და რ. კაპარავასი,
(საქტასის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის დანიაში ვიზიტის გამო

დანიის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ამ ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ამ წლის დეკემბრის პირველ ნახევარში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ნორვეგიაში ვიზიტის გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ამ წლის დეკემბრის პირველ ნახევარში ნორვეგიის მთავრობის მიწვევით ნორვეგიას ეწვევა ოფიციალური ვიზიტით.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ვალდებულება შეასრულეს

ზუგდიდი. (საქ. კორ.). რაიონის მეჩაიეებმა სიტყვა საქმედ აქციეს, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება ვადამდე გაენაღდებინათ. 4 სექტემბრის ჩათვლით ვალდებულებით გათვალისწინებული 2.400 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 2.420 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სეზონის დაწყებიდან სულ მოიკრიფა 32.780 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 30.360 ტონისა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 976 ტონით მეტი.

პლანტაციებში ფრთები გაშალეს ჩაის საკრეფმა მანქანებმა. ამის შედეგია, რომ სახელოვანმა მექანიზატორებმა შარშანდელთან შედარებით მანქანებით 1.000 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. კვლავ სასახელოდ შრომობენ ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ინგირის, რუხის, კახათის კოლმეურნეობების მექანიზატორები.

გამარჯვებულ კოლმეურნეობათა გვერდით დადგნენ და ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში წინ წაიწიეს რაიონის მაჩვენებლები ნარაზენის (თავმჯდომარე გ. ნანავა), ცაიშის (თავმჯდომარე ლ. ქირია), ჭითაწყარის (თავმჯდომარე მ. ბოკუჩავა), რუხის სხულუხიას სახელობის (თავმჯდომარე შ. წოწერია), კახათის (თავმჯდომარე აკ. ფიფია), ახალკახათის (თავმჯდომარე კ. სვირავა), ჩხორიის (თავმჯდომარე ო. ჭითანავა), დარჩელის (თავმჯდომარე ვ. ხუფენია) კოლმეურნეობებმა.

კარგად იმუშავეს ზედა ეწერის (დირექტორი გრ. შონია), ონარიის (დირექტორი ა. გაბელია), ნარაზენის (დირექტორი ჯ. ქვანია) ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფეს.

დასასრულს უახლოვდება „მწვანე ოქროს" კრეფის სეზონი, მაგრამ კრეფა გრძელდება. რაიონის მეჩაიეებმა **გადაწყვიტეს ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1971 წლის 7 სექტემბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესია.

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტი.

ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის საკითხზე

დასავლეთი ბერლინი, 3 სექტემბერი. (ტასსი). დღეს ყოფილი საკონტროლო საბჭოს შენობაში დაიდო ოთხმხრივი შეთანხმება სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს შორის დასავლეთ ბერლინის საკითხებზე. შეთანხმებას ხელი მოაწერეს დასავლეთ ბერლინის შესახებ მოლაპარაკების მონაწილე ოთხი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ელჩებმა.

ამავე დროს პარაფირებულ იქნა ოთხმხრივი საბოლოო ოქმი, რომლის ხელმოწერის შემდეგ შეთანხმება ძალაში შევა, საოქმო ჩანაწერი სსრ კავშირში ბერლინის დასავლეთი სექტორების მუდმივ მცხოვრებთა შესვლის წესის შესახებ და საოქმო ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს ამ სექტორებში სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს, საბჭოთა კავშირის საგარეო-სავაჭრო გაერთიანებათა და აეროფლოტის ბიუროს შექმნას, აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც ეხება საბჭოთა დაწესებულებების საქმიანობას დასავლეთ ბერლინში.

ხელმოწერის შემდეგ ელჩებმა წარმოთქვეს მოკლე სიტყვები, რომლებშიც გამოხატეს ერთსულოვანი აზრი, რომ მიღწეული შეთანხმება ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს და ევროპაში დაძაბულობის შენელებას. სსრ კავშირის ელჩმა პ. ა. აბრასიმოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შეთანხმება, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობაში მთლიანად. მიღწეულია შეთანხმება ერთ-ერთ ურთულეს საერთაშორისო პრობლემაზე, რომლის გარშემო მეოთხედი საუკუნის მანძილზე არაერთხელ წარმოქმნილა წინააღმდეგობა და დაძაბულობა.

მე დავალებული მაქვს განვაცხადო, თქვა შემდეგ ელჩმა, რომ საბჭოთა მთავრობა დადებითად აფასებს გამართული მოლაპარაკების შედეგებს და ოთხმხრივი შეთანხმების დადება მიაჩნია არსებით ნაბიჯად ევროპის ცენტრში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მიმართულებით.

შეთანხმება კარგი საფუძველია ვითარების ნორმალიზაციისა და გაჯანსაღებისათვის რაიონში, რომელსაც იგი ეხება, რადგან ითვალისწინებს აქ არსებულ რეალურ მდგომარეობას, მისი მონაწილეების, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებსა და მოვალეობებს.

ოთხმხრივი შეთანხმება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ რთული საერთაშორისო საკითხები შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. დღეს ხელმოწერილი შეთანხმება უფრო კეთილსაყოფიერ პირობებს ქმნის სხვა დიდმნიშვნელოვან წამოწყებათა დამთავრებისათვის, რომლებიც დგას სახელმწიფოთა დღის წესრიგში.

შემდეგ პ. ა. აბრასიმოვმა თქვა, რომ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება ურთიერთ ინტერესების გონივრული ბალანსია. სწორი არ იქნებოდა მივუდგეთ მას იმ თვალსაზრისით, თუ ვისთვის მოაქვს მეტი ხელსაყრელობა თუ უპირატესობა. ამ შეთანხმებით იგებს ყველა, იმიტომ რომ იგებს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის საქმე. შეთანხმება, ითვალისწინებს რა ბერლინის დასავლეთი სექტორების განსაკუთრებულ მდგომარეობას, სახავს არსებით პრაქტიკულ გაუმჯობესებას დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დაცვის პირობებში, რომელიც მზად არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებთან და სენატთან დადოს შესაბამისი შეთანხმებანი კონკრეტულ საკითხებზე.

ხელმოწერის ცერემონიაზე იყვნენ დასავლეთ ბერლინის საკითხზე ოთხმხრივი მოლაპარაკების მონაწილენი, აგრეთვე გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

(დასასრული)

შემცირებას, მოქმედი საწარმოების ეფექტიან რეკონსტრუქციას, ახალი სიმძლავრეების დაპროექტებისა და ამოქმედების დაჩქარებას, წარმოების ყოველმხრივ რაციონალიზაციას, მის კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მოწყობილობის მოდერნიზაციას, შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფას, საწარმოთა ზუსტი, შეწყობილი და რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გულმოდგინედ უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ გაზარდონ პროდუქციის წარმოება და შეამცირონ თვითღირებულება, გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გაზარდონ საკვების წარმოება და დამზადება, განამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დააჩქარონ წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპები, გააუმჯობესონ ტექნიკისა და შრომითი რესურსების გამოყენება.

მომსახურების სფეროში სოციალისტური შეჯიბრების მიზანი უნდა იყოს მისი გადაქცევა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიულ დარგად, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ავალებს თანმიმდევრულად განავითარონ სოციალისტური შეჯიბრების, როგორც თვით მშრომელთა შემოქმედებითი საქმის დემოკრატიული საფუძვლები, გადაჭრით აღმოფხვრან შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკაში ფორმალიზმის, ბიუროკრატიული დამახინჯების ელემენტები, ყოველნაირად გაზარდონ მშრომელთა კოლექტივების როლი შეჯიბრების საკითხების გადაჭრაში, განუხრელად განახორციელონ მისი ორგანიზაციის ლენინური პრინციპები— საჯაროობა, შედეგების შესადარობა, გამოცდილების პრაქტიკული გამეორების შესაძლებლობა. შეჯიბრების განვითარებაში საჭიროა სწორად გამოვიყენოთ წამახალისებელი ღონისძიებანი, განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ ყურადღება მორალური სტიმულებისადმი, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობის პირობებში სულ უფრო მეტად ხდება ჩვენი წინსვლისათვის სტიმულის მიმცემი უმთავრესი ძალა.

საჭიროა სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის გაძლიერებისათვის, ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა საწარმოო და საზოგადოებრივი აქტივობის გადიდებისათვის, წარმოების მართვაში მშრომელთა უფრო ფართოდ ჩაბმისათვის, მაღალი მორალური თვისებების ჩანერგვისათვის, თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის.

ჩავუნერგოთ თვითეულ მომუშავეს სიყვარული თავისი კოლექტივისადმი, პასუხისმგებლობის გრძნობა ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის, პროფესიული სიამაყე.

პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობას, ამ მოძრაობის გამოცდილებით გაამდიდრონ ყველა ფორმის სოციალისტური შეჯიბრება, უფრო მომთხოვნელად მიუდგნენ კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების წოდების მინიჭებასა და დადასტურებას. კოლექტივები და ცალკეული მუშაკები, რომლებსაც ეს საპატიო წოდება მიენიჭებათ, უნდა იყონ შრომაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევის, პროფესიული ოსტატობის, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისა და კომუნისტური მორალის ნორმების დაცვის ნამდვილი მაგალითის მიმცემი, ყოველი ღონისძიებით უნდა შეუწყონ ხელი კომუნისტური შრომის სკოლებს.

3. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, საოკრუგო კომიტეტებს, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებსა და საბჭოებს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს განახორციელონ ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღინიშნა ამ დადგენილებაში, უფრო ფართოდ გაავრცელონ პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმების შემუშავება, შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, მრავალდაზგოსანთა მოძრაობა, გამოცდილ მუშათა და კოლმეურნეთა შეფობა ახალგაზრდებისადმი, ოსტატობის კონკურსები, წარმოების რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერებანი, მომჭირნეობის პირადი ანგარიშები. ყოველმხრივ განავითარონ ხელშეკრულებო საწყისები სოციალისტურ შეჯიბრებაში, გააფართოონ მუშების, კოლმეურნეების, ბრიგადების, კოოპერირებული მიწოდებით დაკავშირებულ მონათესავე და მომიჯნავე საწარმოთა კოლექტივების, სამშენებლო, სამონტაჟო და სატრანსპორტო ორგანიზაციების საწარმოო გაერთიანებებისა და ფირმების, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების შეჯიბრება; დიფერენცირებულად მიუდგნენ სხვადასხვა კატეგორიის მშრომელთა შორის შეჯიბრების მოწყობას.

გააუმჯობესონ სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავებისა და მიღების პრაქტიკა. კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი უნდა ჩამოყალიბდეს იმ მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რომლებიც საწარმოებისა და დარგების წინაშეა დასახული წარმოების განვითარების მოცემული საგეგმო პერიოდისათვის და შეიცავდნენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ ვალდებულებებსა და წინადადებებს, გამოხატავდნენ მათს ინიციატივასა და გამოცდილებას, აღუძრავდნენ მშრომელებს შემოქმედების, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უკეთ გამოყენების სურვილს. დაგმონ პრაქტიკა, როცა საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების ცალკეული ხელმძღვანელები ფარავენ მნიშვნელოვან რეზერვებსა და შესაძლებლობებს, არ შეაქვთ ისინი გეგმებში, ხოლო შემდეგ კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, რაც ქმნის გარკვეულ სიძნელეებს დაგეგმვაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, იწვევს უარყოფით შედეგებს ადამიანთა აღზრდაში. სხვადასხვა კოლექტივების შეჯიბრების შედეგების შედარებისას უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ნაკისრ და შესრულებულ გეგმათა დაძაბულობა, აგრეთვე საწარმო დანახარჯების დონე.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის.

სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან შექმნან მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიური პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ თვითეულ მშრომელს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს თავისი უნარი. საჭიროა დროულად შეამჩნიონ და მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, რასაც მასების შემოქმედება წარმოშობს, განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი მოწინავეებისა და საუკეთესო კოლექტივების მიღწევათა გავრცელებისათვის, დღენიადაგ იზრუნონ მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისათვის.

საწარმოთა ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები მოწოდებული არიან აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, შეჯიბრებაში ჩაბმულთა ვალდებულებების ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებაში, თვითეული სამუშაო ადგილის მოწყობის გაუმჯობესებაში, ყოველი ღონისძიებით უწყობდნენ ხელს მუშათა და კოლმეურნეთა ტექნიკური შემოქმედების განვითარებას, წარმოებაში მათი წინადადებების დანერგვას და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. თავიანთი ღონისძიებანი მათ უნდა მოახმარონ წარმოების ტექნიკურ სრულყოფას, ყოველივე იმ მოწინავის შესწავლასა და დანერგვას, რაც არის ტექნიკის, ტექნოლოგიის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დარგში საბჭოთა და საზღვარგარეთულ პრაქტიკაში, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ყველა ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას.

5. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ კომუნისტთა ავანგარდული როლი სოციალისტურ შეჯიბრებაში, უფრო სრულად გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება შეჯიბრების უკეთ ორგანიზაციისათვის, შეჯიბრების განვითარებას მოახმარონ მასებში პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, აამაღლონ პროფკავშირთა როლი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში.

პროფკავშირები მოწოდებული არიან განავითარონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, სრულყონ და გაამდიდრონ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და მეთოდები, აამაღლონ მისი ქმედითობა. შეჯიბრების ორგანიზაციის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური ცოდნის გავრცელების, მშრომელთა შორის რაციონალიზატორული და გამომგონებლური საქმიანობის განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხი უნდა იდგეს თვითეული პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში, მათ სისტემატურად უნდა განიხილავდნენ მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე.

კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პროფკავშირებთან ერთად ჩააბას შეჯიბრებაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში ახალგაზრდობის ფართო მასები, უწინარეს ყოვლისა კომკავშირელები, გააძლიეროს ქალიშვილებისა და ჭაბუკების შემოქმედებითი აქტივობა, აღუზარდოს მათ შრომისადმი სიყვარული, სახალხო ქონებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, აამაღლოს ახალგაზრდა მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა როლი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვაში, განავითაროს ახალგაზრდობის მისწრაფება ეკონომიური ცოდნის დაუფლებისადმი, პროფესიული ოსტატობის ამაღლებისადმი, თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების ათვისებისადმი, გააუმჯობესოს კომკავშირული ორგანიზაციების შეფობა დამკვრელური მშენებლობებისადმი, მეცხოველეობისადმი, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებისადმი.

6. საკავშირო პროფსაბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელონ ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის კონკრეტული გამოცდილების განზოგადების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი განვითარების პრობლემათა უფრო ღრმა თეორიული დამუშავების მიზნით.

7. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, კინომ, რადიომ და ტელევიზიამ, გამომცემლობათა ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის საკითხთა გაშუქება, მკაფიოდ და საინტერესოდ გვიამბონ შრომის გმირთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა შესახებ, უფრო ღრმად ჩასწვდნენ წამოწყებათა არსს, მხარი დაუჭირონ და გაავრცელონ პრაქტიკით შემოწმებული ახალი თაოსნობანი, გააშუქონ შრომის მოწინავე მეთოდების შინაარსი, უფრო სრულად გვიჩვენონ შეჯიბრების სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, სისტემატურად მოაწყონ შეჯიბრების მონაწილეთა ურთიერთშემოწმება, ფართოდ აუწყონ მშრომელებს შეჯიბრების მიმდინარეობა, მისი შედეგები, მაღალ მაჩვენებელთა მიღწევის გზები. პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოსვლები, კინოჟურნალები საუკეთესო კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების მუშაობის შესახებ მილიონობით მშრომელთათვის მოწინავე გამოცდილების გავრცელების ნამდვილი სკოლა, მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა მორალური წახალისების დიდმნიშვნელოვანი საშუალება უნდა გახდნენ.

8. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელნიც გაითვალისწინებენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში ნოვატორთა და საუკეთესო კოლექტივთა მიღწევების და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების ჩვენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ჩვენი საბჭოთა ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სახალხო-სამეურნეო გეგმების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

---

5 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეა

1. ჭაბურღილები

ჭაბურღილები. დღედაღამ გუგუნებენ ისინი. დაჟინებით ბურღავენ მიწის გულს, ეძებენ, იკვლევენ მის სიმდიდრეს. სად არ აღმართულან ისინი — დაბლობებსა და მთებში, ხეობებსა თუ თვით ზღვის ზედაპირზეც კი. განუსაზღვრელია ის დიდი საქმე, რომელსაც ისინი აკეთებენ, ყოველდღიურად მილიონობით ტონა ნავთობს იღებენ მიწის წიაღიდან. ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეა. საქართველოს ნავთობის მრეწველობა დიდი სიმძლავრით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ ტრესტ „საქნავთის" მუშაკები, რომლებიც რესპუბლიკის ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების, აგრეთვე ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების ძებნა-ძიების სამუშაოებს ახორციელებენ, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და პირნათლად ასრულებენ დასახულ გეგმებს.

საქართველო ნავთობის ქვეყანა არ არის, თუმცა ამ ძვირფასი ნედლეულის მცირედი მოპოვება ბევრ ობიექტზე ხდება. ასეთი ძირითადი ობიექტები განლაგებულია პატარა შირაქში, მირზაანში, საცხენისში, ნორიოში, სუფსაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუშაკების ძირითადი საქმიანობა უფრო პროდუქტიული საბადოების ძებნა-ძიებითი სამუშაოებით განისაზღვრება, ამიტომ საექსპლოატაციო ჭაბურღილების გაყვანა კარგა ხანია აღარ სწარმოებს. ნავთობის მოპოვება ხდება ძველი ჭაბურღილებით, რომელთა „ასაკი" ხშირად 25-30 წელიწადს აღწევს. მიმდინარე წლის შვიდ თვეში საქართველოს ნავთობის მომპოვებლებმა დამკვრელურად იშრომეს. გადაჭარბებით შეასრულეს ნავთობის მოპოვების, გადამუშავების, სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი, მიღებულია ათეულობით ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

უკანასკნელ წლებში დიდი სამუშაოები განახორციელეს ჩვენმა გეოლოგებმა. ძებნა-ძიებითი სამუშაოების შედეგები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობა ახალ ხუთწლედში არსებითი აღმავლობის გზაზე დადგება. ნავთობისა და გაზის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოების აღმოჩენის პერსპექტიული უბნებისა და რაიონების რიცხვმა უკვე რამდენიმე ათეულს მიაღწია. ზოგიერთ რაიონში, როგორიც არის პატარა შირაქი, ტარიბანი, შუაგორა, სამგორი, რუსთავი, ლისი, გურთა, სუფსა, ჭალადიდი, ცაიში, ოჩამჩირე, სამუშაოები ღრმა და ზეღრმა ჭაბურღილებით წარმოებს. ეს პერსპექტიული საქმეა, ამიტომ მიმდინარე ხუთწლედში ანალოგიურ სამუშაოებს დავიწყებთ სხვა იმედისმომცემ უბნებზეც— გომბორში, სახარებაში, წყაროსთავში, მერიაში, ლერასა და განახლებაში. აქ ძებნა-ძიებითი სამუშაოები ძირითადად 4-5 კილომეტრი საპროექტო სიღრმის ჭაბურღილებით ხორციელდება.

ბურღვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მარაგების, აგრეთვე მოპოვების გაზრდა მიმდინარე ხუთწლედში სწორედ ამ რაიონების ხარჯზე განხორციელდება. მაგალითად, 1972 წლიდან მწყობრში ჩადგება ტარიბანის ნავთობიანი უბანი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ნავთობის მოპოვების საერთო მოცულობას.

თავიანთ დღესასწაულს ნამდვილად სასიხარულო გამარჯვება მიუძღვნეს ჩვენმა მენავთობეებმა. ამ დღეებში ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში № 13 ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა. იგი დღეს ყველაზე პერსპექტიული ჭაბურღილია, დღეღამეში ათობით ტონა ნავთობს იძლევა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტ „საქნავთის" ნავთობის მაძიებლები კარგად შრომობენ ახალი ხუთწლედის პირველ წელს. წარმოებაში მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის სწორი ორგანიზაციით, ღრმა ჭაბურღილების გაყვანის მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით ნავთობის მაძიებლებმა 7 თვის დავალება 111,2 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო დასინჯვითი ჭაბურღილების დამთავრების გეგმა — 133,3 პროცენტით, ტრესტმა დიდძალი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ჩვენი მენავთობეები თავიანთ დღესასწაულზე აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს. ვალდებულებები, რომლებიც ცალკეულმა კოლექტივებმა ამ დღისათვის იკისრეს, წარმატებით შესრულდა. მათ შორის, ვინც თავი ისახელა სოციალისტურ შეჯიბრებაში, არიან გაერთიანებული ნავთობსარეწაოს, წითელწყაროს ღრმა ბურღვისა და ჭაბურღილების დასინჯვის კანტორების, ცენტრალური მექანიკური საამქროს კოლექტივები. ბრიგადებს შორის თავი ისახელეს ტარიბანის № 13, რუსთავის № 3 ჭაბურღილების ბრიგადებმა, რომლებსაც ბურღვის ოსტატები თ. ათანელაშვილი და ც. ცაბაური ხელმძღვანელობენ. ქების ღირსნი არიან საექსპლოატაციო ჭაბურღილების მიწისქვეშა შემკეთებელი ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. ქისტაური) წევრები, მბურღავები ი. ბალამცარაშვილი, გ. ლაშქარევი, ლ. ხაბაზიშვილი, ბ. კანდელაკი, ბურღვის ოსტატი ჯ. მირცხულავა, ზეინკალი რ. ბანეთიშვილი, მძღოლები გ. მამნიაშვილი, პ. ხარაბენკო და სხვ.

გავიდა ზაფხული. ჩვენი მუშაკებისათვის ეს ნაყოფიერი შრომის პერიოდი იყო. ბევრი რამ კარგი გაკეთდა ამ საშურ დროში. შემოდგომის თვეებშიც ჩვეული ტემპით გაგრძელდება დაწყებული სამუშაოები. საქართველოს მენავთობეებს, მაძიებლებს, გეოლოგებს წინ დიდი ამოცანები ელით. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ სახელმწიფოებრივი დავალებანი პირნათლად გაანაღდონ.

ყველგან კვლავ დღედაღამ გუგუნებენ ჭაბურღილები. მიწის გულში ეძებენ დიდ სიმდიდრეს, რომ შემდეგ ჩვენს ქვეყანას, ხალხს მისცენ იგი.

ს. ხოსროშვილი,
ტრესტ „საქნავთის" მმართველი.

2. გაზი — სოფლად და ქალაქად

საქართველოს სსრ მთავარგაზის სამმართველოს მრავალათასიანი კოლექტივი შრომითი წარმატებით ხვდება ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეს. გასული ხუთწლედის ყველა დავალებები დიდი გადაჭარბებით შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული იყო 360 ათასი ბინის გაზიფიცირება, მათ შორის სოფლად — 132 ათასი ბინისა. სინამდვილეში გაზი მიიღო 386 ათასი მშრომელის ბინამ, აქედან სოფლის რაიონებში 172,5 ათასმა ოჯახმა.

გადაჭარბებით შესრულდა ბუნებრივი და თხევადი გაზის რეალიზაციის გეგმა, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 415 კილომეტრი გაზის ქსელი. ხუთწლედის მანძილზე იმ ქალაქებს, რომლებიც უკვე სარგებლობდნენ ბუნებრივი გაზით, მიემატა ქალაქები კასპი, გარდაბანი, გორი, საგარეჯო, გურჯაანი. დღეისათვის საქართველოში უკვე მოქმედებს 830 კილომეტრი გაზის გამანაწილებელი ქსელი, ბუნებრივი გაზით გაზიფიცირებულია 1.200 გამთბობი საქვაბე და კომუნალური საყოფაცხოვრებო ობიექტი, 220 მსხვილი სამრეწველო საწარმო. საქართველოს ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრებში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები. ახლა თითქმის არ არსებობს სოფელი, სადაც არ სარგებლობდნენ გაზის სიკეთით.

მომხმარებელთა გაზით შეუფერხებელი მომარაგების მიზნით გაზის მეურნეობებში შექმნილია სპეციალიზებული ბაზები, აშენებულია ბალონების შევსებისა და შენახვის 35 პუნქტი. ფართო ფრონტით მიმდინარეობს გაზიფიცირება თხევადი გაზით.

გაზის მოქმედ საჩამომსხმელო სადგურებს ხუთწლედის განმავლობაში შეემატა გორის, ცხაკაიას და გურჯაანის მძლავრი საჩამომსხმელო სადგურები, ამასთან გაფართოვდა სხვა არსებული სადგურები და პუნქტები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად მიმდინარეობს სამუშაოები მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ობიექტების გაზის მოხმარებაზე გადაყვანისათვის. ბუნებრივი გაზით სარგებლობს რუსთავის მეღორეობის ფერმა, გორის საკოლმეურნეოთაშორისო მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობა, დამთავრდა თერთმეტი კილომეტრი სიგრძის გაზსადენის მშენებლობა გორის მეფრინველეობის ფაბრიკისათვის და სხვ.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა თბილისის გაზიფიკაციისათვის. დღეისათვის ბუნებრივი და თხევადი გაზით გაზიფიცირებულია 180 ათასზე მეტი ბინა, მოქმედებს 510 კილომეტრზე მეტი ქუჩის მიწისქვეშა გაზსადენი. გაზის მოხმარებაზე გადაყვანილია 180-მდე სამრეწველო საწარმო, მუშაობს 5 გაზგამანაწილებელი სადგური და 49 გაზმარეგულირებელი პუნქტი.

ბუნებრივი გაზის მისაღებად ქალაქების მომზადებისათვის მთავარგაზის სისტემაში ოთხი წლის წინათ შეიქმნა მძლავრი ტექნიკით, მექანიზმებით აღჭურვილი სარემონტო-სამშენებლო ტრესტი, რომლის კოლექტივს უნარი შესწევს ააშენოს მაგისტრალური გაზსადენიც კი. სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რეკორდულ დროში ააშენეს რუსთავი-თელავის პირველი რიგის მაგისტრალური გაზსადენი, რაც დიდი მოვლენა იყო ჩვენს მუშაობაში. აღნიშნული სამუშაოების შესრულების შედეგად ბუნებრივი გაზი მიიღეს საგარეჯომ და გურჯაანმა. ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა თელავისაკენ.

ჩვენს კოლექტივებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება, რომ მიმდინარე წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულისათვის თელავმა მიიღოს ბუნებრივი გაზი. შემდგომ კი გაზსადენის მშენებლობა გაგრძელდება კახეთის სხვა რაიონების მიმართულებით.

ამჟამად საკავშირო გაზის მრეწველობის სამინისტრო აწარმოებს გორი-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის სამუშაოებს, რომლის დამთავრების შემდეგ ბუნებრივ გაზს მიიღებენ აგარა, ხაშური, სურამი, ბორჯომი, ჭიათურა, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო. შემდგომ წლებში გაზსადენი გაგრძელდება შავიზღვისპირა ქალაქებისა და რაიონების მიმართულებით. საკუთარი ძალებით კი ვაშენებთ მაგისტრალურ გაზსადენს ცხინვალის მიმართულებით.

ქალაქებმა და სხვა დასახლებულმა პუნქტებმა ბუნებრივი გაზი რომ მიიღონ, ამისათვის საჭიროა რთული მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდეს: უნდა აშენდეს ქუჩის გაზგამანაწილებელი ქსელები, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტებში, აგრეთვე ბინებში დამონტაჟდეს გაზმოწყობილობანი. ყველა ეს სამუშაო, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობას.

აღმავლობით შრომობენ ჩვენი მეურნეობები ახალი ხუთწლედის პირველ წელს. რვა თვის დავალება ყველა მაჩვენებლებით გადაჭარბებით შესრულდა. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამოცანები დიდია. ახალ ხუთწლედში ჩქარი ტემპით უნდა განვაგრძოთ მუშაობა ყოფაცხოვრებაში გაზის უფრო ფართოდ გამოყენებისათვის. განხორციელდება საცხოვრებელი ფონდის ძირითადი ნაწილის გაზიფიკაცია, ფართოდ გაიშლება გაზიფიკაცია პატარა ქალაქებში, მუშათა დაბებში და სოფლად. ხუთწლედში საქართველოში გაზიფიცირებულ უნდა იქნას 392 ათასი ბინა, მათ შორის 199 ათასი სოფლად. საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 530 კილომეტრი სიგრძის ქუჩის გაზგამანაწილებელი ქსელი.

მთავარგაზის სამმართველოს მრავალათასიანი კოლექტივი ენერგიულად იშრომებს ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გ. ბარძიმოვი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

სწორად განვახორციელოთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის საწესდებო უფლება საწარმოო პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მიენიჭათ ყველა იმ საპროექტო ორგანიზაციის, საკონსტრუქტორო ბიუროს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, სასწავლებლის, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა ადმინისტრაციის ფუნქციები არ სცილდება თავიანთ კოლექტივების ფარგლებს. ხოლო სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებებისა და უწყებების პარტიულ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ კონტროლი გაუწიონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის საქმიანობას.

სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლების შესახებ სკკპ წესდების დებულების განხორციელების პირველი გამოცდილების, კონტროლის ყველაზე ქმედითი ფორმებისა და მეთოდების გამოვლენის საკითხს მიეძღვნა სამინისტროების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების თათბირ-სემინარი, რომელიც 2 სექტემბერს მოიწვია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა.

თათბირ-სემინარი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

□

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ მთლიანად ქალაქში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად კიდევ 645 პარტიულ ორგანიზაციას მიენიჭა ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის საწესდებო უფლება. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ციფრი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ ყრილობამდე ასეთი უფლება ჰქონდა 647 საწარმოო პირველად პარტიულ ორგანიზაციას. ამხ. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პარტიის ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება მიზნად ისახავს, კიდევ უფრო გაააქტიუროს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, ხელი შეუწყოს კომუნისტთა დისციპლინის, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას, მშრომელთა შორის მათი ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, ყველა კომუნისტის აქტივობის განვითარებას.

მოხსენება „ადმინისტრაციის საქმიანობისათვის პარტიული კონტროლის უფლების განხორციელების ფორმები და მეთოდები" გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ცქიტიშვილმა. გამოცდილება მოწმობს, თქვა მან, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ პარტიის წესდებაში შეტანილი ცვლილებანი ამაღლებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლსა და ავტორიტეტს. ორჯონიკიძის რაიონში ადმინისტრაციის საქმიანობის პარტიული კონტროლის საწესდებო უფლება მიენიჭა 140 პარტიულ ორგანიზაციას. უკვე მიმდინარე წლის მაისში აქ მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სემინარი პარტიის წესდებაში ცვლილებების საკითხზე. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, იქ, სადაც ეს მიზანშეწონილად ცნეს, შექმნეს პარტიული კონტროლის კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შეიყვანეს ყველაზე ავტორიტეტიანი, ენერგიული და გამოცდილი მუშაკები. სწვდებიან რა თავიანთი კოლექტივების მუშაობის ძირეულ საკითხებს, ისინი პარტიულ ბიუროებსა და პარტიულ კომიტეტებს ეხმარებიან უფრო სრულად გაითვალისწინონ სამეცნიერო, სასწავლო და სხვა დაწესებულებების საქმიანობის კონკრეტული პირობები და თავისებურებანი. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, რომელთა მნიშვნელოვანი რიცხვი თავმოყრილია რაიონში, დგას სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისა და შესრულების, სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის, ძირითად მეცნიერულ მიმართულებათა განსაზღვრის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხები. ჩვენ გვესმის, თქვა მომხსენებელმა, რომ პარტიული ორგანიზაციების კონტროლი ეს არის ყველა კომუნისტის კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, კონტროლი ქვემოდან, კონტროლი, რომელიც ისახავს მთავარ მიზანს — დაეხმაროს ადმინისტრაციას შეასრულოს კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანები.

ადმინისტრაციის საქმიანობისადმი დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონტროლის გაძლიერების საკითხებზე და ამ საქმეში შეძენილი პირველი გამოცდილების შესახებ გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ვ. ქარუმიძე, თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პარტბიუროს მდივანი გ. არეშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ჯ. ლომინაძე, თბილისის მეორე საქალაქო საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანი თ. შენგელია, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს პარტბიუროს მდივანი ნ. გოგიშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" პარტიული კომიტეტის მდივანი ს. ხატიაშვილი, თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პარტბიუროს მდივანი კ. გასვიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. აზიროვი.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი მინიჭებული კონტროლის უფლების გაფართოება ამაღლებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას. მისი წარმატებით განხორციელების საწინდარია თვითეული კომუნისტის აქტივობის შემდგომი ამაღლება.

ორატორები შეეხნენ სამინისტროებისა და უწყებების იმ პარტიულ ორგანიზაციათა კონტროლის თავისებურებებს, რომლებსაც არ შეუძლიათ უშუალო გავლენა მოახდინონ ამ სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობაზე, მაგრამ მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ მუშაობის დაყენებას თვით აპარატში, მუშაკების მიერ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვას.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა სწორი ურთიერთობა დამყარდეს ადმინისტრაციასა და პარტიულ ორგანიზაციას შორის.

სამრეწველო საწარმოებში ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. აფციაურმა, „თბილგვირაბმშენის" № 5 საგვირაბო რაზმის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. ლეკანოზიშვილმა.

შეიმუშავეს რეკომენდაციები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული კონტროლის უფლების განსახორციელებლად შემდგომი მუშაობისათვის. (საქდესი).

სახელმწიფო დეპარტამენტში

ვაშინგტონი, 4 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუკსეევი იუწყება:

ამ ბოლო ხანს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში სიარულს მოუხშირეს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა, რომლებიც აწარმოებენ ამ უწყების თანამშრომელთა დაკითხვას.

ეს აქცია ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, რათა პრესაში აღარ მოხვდეს მასალები, „რომლებიც სახელს უტეხენ მთავრობას".

სახელმწიფო დეპარტამენტის კედლებში პოლიციის თვალთვალის ეს ფაქტი აშკარად აღიარა გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკლოსკიმ.

როგორც აქ აღნიშნავენ, თეთრმა სახლმა სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკებსა და სხვა ოფიციალურ პირებს მისცა მითითება არ გაუზიარონ ჟურნალისტებს ინფორმაცია სამხრეთ ვიეტნამის პოლიტიკური მდგომარეობისა და მთელი რიგი სხვა „კონფიდენციალური" საკითხების შესახებ.

ათთა სხდომა

პარიზი. 4 სექტემბერი. (საქდესი). აქ გაიხსნა ათი უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოს („საერთო ბაზრის" ხუთი ქვეყანა, ლუქსემბურგის გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, კანადა, იაპონია და შვეცია) წარმომადგენელთა სხდომა, რომლებიც განიხილავენ დასავლეთის სავალუტო სისტემის მდგომარეობას ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის „გადარჩენის" ცალმხრივ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დღევანდელ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე მეთვალყურენი პესიმისტურად აფასებდნენ სხდომის მონაწილეთა შორის უთანხმოების დაძლევის შანსებს, რადგან წინააღმდეგობა მათ შორის მეტად დიდია.

განიხილავენ დირექტივებს

ვარშავა, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი სოციალისტური განვითარების შესახებ დირექტივების მიღება, რომლებიც პარტიის VI ყრილობის წინ დისკუსიის საგანი გახდება.

პლენუმი გახსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა.

ჩინეთი ოპიუმს ავრცელებს

ამერიკელი ექიმის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკელმა ექიმმა რ. ბეირდმა, ნარკომანიის მკურნალობის სპეციალისტმა, განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების, კერძოდ, ჰეროინუმის შემოტანის „მთავარი წყაროა". ჩინეთი „ჰეროინუმის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელია", თქვა მან ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ოლბანში (ნიუ-იორკის შტატი) გაიმართა.

ბეირდმა აღნიშნა, რომ, მაგალითად, ჰონკონგში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ემიჯნება, 125 ათასი ნარკომანია. ამასთან ამ ქალაქში ბრინჯის მოსაყვანი ადგილიც არ არის, რომ არაფერი ვთქვათ ოპიუმზე, თქვა მან. „ჩადით ვიეტნამში, კორეაში და ჯარისკაცები გეტყვიან, რომ მთელი ეს პროდუქცია ჩინეთიდან მოდის".

ბეირდის გამოანგარიშებით თითქმის ნახევარ მილიონ ჰექტარზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოჰყავთ ოპიუმი.

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეტაიპის ლენტიდან

● **საბჭოთა კავშირის დელეგაცია** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ნ. ნოვიკოვის მეთაურობით კუბის დედაქალაქში ჩავიდა. იგი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირ-კუბის პირველ სამთავრობათაშორისო სხდომაში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე.

● **პოლიციის მიერ** სტუდენტთა დემონსტრაციის გარეკვის დროს მონტევიდეოში მოკლეს 19 წლის სტუდენტი ხულიო ხესარ ესპოსა. მოსწავლეებმა პროტესტი განაცხადეს ქვეყნის რეაქციული ორგანიზაციის „სიკვდილის ესკადრონის" ტერორისტული მოქმედების წინააღმდეგ.

● **ირლანდიის კომუნისტური პარტია** მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი ოლსტერში და იქიდან გაიყვანონ ინგლისის ჯარები. აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ირლანდიის კომუნისტური პარტია აყენებს ექვსი პუნქტისაგან შემდგარ პროგრამას ჩრდილოეთ ირლანდიის ახლანდელი კრიზისის დასაძლევად.

● **ჩილეს** პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე პერუში სამი დღის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შემდეგ 3 სექტემბერს სამშობლოში გაფრინდა. სალვადორ ალიენდემ დაამთავრა მოგზაურობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ხარისხის გოლგოთა

ერთი თავი რომანიდან „დიდი და პატარა ეკატერინე“

ალიო ადამია

„ამ დილით მე, ზვიად დიასამიძე, რიგითი ასპირანტი ვარ, მაგრამ დღეს სამეცნიერო ხარისხს დავიცავ და საღამოთი მეცნიერების კანდიდატი გავხდები... და ჩვენი ოჯახი ღელავს! გუშინ დედაჩემის ბრძანებით ჩვეულებრივზე ადრე დავწექით, მაგრამ ძილის რა მოგახსენოთ: მამაჩემი, როგორც ყველა ისტორიკოსი, მოუქანცველი მოსაუბრეა, მაგრამ წუხელ მუნჯივით იყო — ძილი არ გაუკრთეს ზვიადსო. თან, ვგრძნობდი, გულმოსული იყო ჩემზე — ხვალ როგორი განსაცდელი მოელის, ეს კი არხეინად გამოტრიალა ლოგინშიო.. მე მხოლოდ თვალები მქონდა დახუჭული და ისე ვფხიზლობდი, დედაჩემის ფიქრიც კი მესმოდა. დედაჩემმა ღვთისმორწმუნესავით სამჯერ შეავედრა ჩემი თავი მამაზეციერს, „ყოვლადძლიერო, ხვალ გაუმარჯვე ჩემს ზვიადს, — შეიბრალე დედამისი“... მერე ზვიადმა ფანჯარა გააღო და ეზოში გადაიხედა. კარისმეზობელი შადიმან შარანგია ონკანთან იდგა. წელზევით შიშველი იყო და ცივი ტილოთი ტანს იზელდა.

„ჩემი და შარანგიას ცხოვრება ერთმანეთსა ჰგავს. მან ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სასადილოს გამგედ მუშაობს, ცხოვრების ავკარგზე ერთობ ორიგინალური შეხედულება აქვს. ხოლო მამაჩემი ამაოდ ცდილობს საწინააღმდეგო დაუმტკიცოს... მე ფიზკულტურელი ვიყავი, — მორბენალი! ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდოდა შესვლა, მაგრამ ჩემმა ნათლიამ „იწინასწარმეტყველა“ — სოფლის მეურნეობის მექანიზაციას დიდი მომავალი აქვს საქართველოშიო, და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამომაყოფინეს თავი. მორბენალობა აქაც დიდად შემიშველა! — ღმერთმა დალოცოს ფიზკულტურა!“

„შენც ხარისხს იცავ?“

დედის ხმა შემოესმა ზვიადს.

„დიახ, — ხმას აუწია ზვიადმა — მე რეპეტიციას გავდივარ, დედაჩემო, შენი — კი მიკვირს, დილიდანვე რომ მოუსვენრობ! შენც ხომ არ აპირებ ჩემთან ერთად ხარისხის დაცვას?“

ქალბატონი თეკლე ხარისხს არ იცავს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში ვერ ერკვევა ქალბატონი თეკლე, მას თავისი საზრუნავი აქვს.

„ვითომ არ იცი, მე რაც მაღელვებს?“

„ვიცი, კარგადაც ვიცი: ვითომ ვახშამი, ვითომ სტუმრები... ახლა შენ ცდილობ მომატყუო, მაგრამ ვერ ახერხებ! შვილსა და დედას სიმართლე ვერ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ხედავ რა დაგრეხილი და მიკიბულ-მოკიბულია ცხოვრება? დღეს შენი შვილი ცხოვრების გზაზე წინ წაიწევს, ერთი საფეხურით ამაღლდება. შენ ეს გიხარია და თან შიშობ — ვაი თუ ფეხი დაუცდესო. და ამ შიშმა რომ არ შემაკრთოს, ცდილობ დამიმალო... გავიწყდება, რომ მე ბალღი აღარა ვარ, დედი!“

ნიკომ ხმაურით შემოაღო კარი. ჩანს კარგა ხანია ამდგარა, თმა კოხტად აქვს დავარცხნილი. დედა-შვილს გაუღიმა და საათს გახედა.

„მშვიდობის დილა მისურვებია... ოღონდ დილა ადრიან რა საჭიროა ეს პაექრობა, საღამომდე დიდი დრო არის!“

თეკლემ მწყრალად გახედა მეუღლეს და სკამიდან ადგა.

„ერთნაირად ღაღადებ ყოველთვის: დრო დიდი დაგვრჩა!“

„უნდა ვიღაღადო, ქალბატონო თეკლე, — დინჯად და დამარცვლულად უპასუხებს ნიკო, — დიახ, უნდა ვიღაღადო, არ მიყვარს გადამეტებული ფაციფუცი! მაპატიე და — ქალებს ხომ მოსვენება არ შეგიძლიათ: ეს ნივთი სად დავდგათ? ეს სად ჩამოვკიდოთ? სუფრის თავში ვინ დავსვათ?.. ყოველივე ეს წვრილმანია! თავიდათავი სიმშვიდეა, დიახ, სიმშვიდე! სიმშვიდემან დიდმან სძლია საქმენი ძნელნი და დიდნი“...

გულმოსული თეკლე ოთახიდან გავიდა. ზვიადიც მას გაჰყვა.

ოთახში შადიმან შარანგია შემოვიდა. ნიკო სავარძლიდან წამოდგა, ხალისიანად შეეგება.

„სალამი დილისა — პურმარილისა!“ — დაიბრუხუნა შადიმან შარანგიამ.

ნიკომ ხელი ჩამოართვა და გაუღიმა.

„იცოცხლე! ახირებული კაცი ხარ, ჩემო შადიმან, დილიდანვე პურმარილი გაკერია პირზე“.

„დილით პურმარილი უნდა დავიბედოთ, ნიკო ბატონო, ისტორიული წყაროები მერე“ — ...ისევ დაიბრუხუნა შადიმან შარანგიამ.

„შენ შეუტიე ისტორიას?“ — ვითომ შეუბღვირა ნიკომ.

„როგორ გეკადრებათ! — ხელები გაასავსავა შადიმანმა, — ჩემი აზროვნების საძირკველი ისტორია და ფილოსოფია გახლავთ, ნიკო ბატონო! თქვენი საყვარელი ეპიკურე მოგვეხსენებს: ყოველი სიკეთის საწყისი და ფუძეთაფუძე გახლავთ კუჭის სიამოვნება, — სიბრძნეს და ყველა სხვა სათნოებას მასთან აქვს კავშირი“.

შადიმანს თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი. თამამად გაუღიმა ნიკოს და ხელები გაშალა.

„აა, როგორ ფიქრობთ, ნიკო ბატონო, ისტორია უარყოფს ამ მოსაზრებას?“

„ნამეტანს აწვრილმანებ, ჩემო შადიმან!“ — სხვათა შორის მიუგო ნიკომ.

„ყოველი ადამიანი, — უფრო გათამამდა შადიმანი,— მატერიალისტია ბუნებით. — ხორცის ხმაა — არ გვშიოდეს, არ გვწყუროდეს, არ გვციოდეს, და ჩვენი სული ყურს უგდებს ამ ხმას: უპირველესად იმისათვის ვიღწვით, რომ გვქონდეს საჭმელ-სასმელი, შესამოსელი და სითბო. და როცა ესენი გვაქვს, ცხოვრება ლამაზი გვეჩვენება“...

ნიკომ დამცინავად გაუღიმა კარისმეზობელს, რაღაც ისეთი უნდოდა ეთქვა, შადიმანს აუდიენცია დამთავრებულად მიეჩნია, ეგრძნობინებინა — ამ დილით შენთან პაექრობის ხასიათზე არ ვარო, მაგრამ უპასუხოდ მაინც არ დატოვა გათამამებული შადიმანი.

„კუჭის ხმას აჰყევი, ამიტომაც ისტორიას ზურგი შეაქციე და სასადილოს მიაშურე, არა?“

„უფრო ღრმა მიზეზის გამო. — როლში შევიდა შადიმანი, — მე რეალისტი გახლავართ, ნიკო ბატონო! ვიგრძენი — ისტორიას ახალს ვერაფერს ვეტყოდი და გზა ვეუტიე. ზოგიერთი თქვენი პატივცემული კოლეგაც ასე რომ მოიქცეოდეს, ისტორია არ დაზარალდება“.

ნიკოს არაფრად ეჭაშნიკა სასადილოს გამგის ასეთი თამამი აზრი ისტორიკოსებზე და შეუწყრა.

„ნამეტანი მაღლა ფრენ, ჩემო შადიმან!“

„თქვენ რომ გგონიათ, არც ისე მაღლა, — დარწმუნებით თქვა შადიმანმა, — ზოგიერთ ისტორიკოსს ისტორია შეუსწავლია. თავისი თავი კი ვერა... მაგრამ მე ამ დილით საკამათოდ არ მოვსულვარ თქვენთან, ნიკო ბატონო! დღეს თქვენს სახლში დიდი ზეიმია და თქვენმა კარისმეზობელმა ერთი ფუთი ცოცხალი კალმახი მოგართვათ!

ნიკო. (უაღრესად შინაურული კილოთი). მართლა?

შადიმანი. კალმახები თქვენს სამზარეულოში ფართხალებენ.

ნიკო. ჩინებულია! სად იყიდეთ?

შადიმანი. ჩვენს ბაზარში.

ნიკო. სადაა ეს თქვენი ბაზარი?

შადიმანი. თქვენ მას ვერ მიაგნებთ!

ნიკო. რატომ? მე თბილისის ყველა ბაზარი ვიცი!

შადიმანი. მაგრამ სასადილოების გამგეთა ბაზარს მაინც ვერ მიაგნებთ, პატივცემულო ნიკო! მყიდველებმა რომ გაიგონ მისი ადგილსამყოფელი, კედელს შეუნგრევენ. და შადიმანი უფრო თამამად გასწორდა წელში, განიერი მხრებით ოდნავ შეარხია და ნიშნისმოგებით გახედა კარისმეზობელს.

„დიახ, კალმახს დიდი, ძალიან დიდი ძალა აქვს, პატივცემულო ნიკო, ერთ ისტორიულ ამბავს შეგახსენებთ: ჯარი ციხეს უტევდა და ძლიერ მოიქანცა, დამშეულიც იყო და იერიში ჩაიშალა. სარდალმა ხერხი იხმარა — მეომრებს მოახსენა, ამ ციხეს მტერი იმიტომ იცავს ასე თავგამოდებით, რომ ციხეში წყლის დიდი აუზია. ხოლო აუზი კალმახებით არის სავსე. და მაშინ იხუვლა ჯარმა, ძალა მოიცა, მუხლი გაიმაგრა, ეკვეთა ციხეს და ყიჟინით აიღო... და ჟამთააღმწერელმან აღბეჭდა: ძალა კალმახისა აღემატების ძლიერებას ციხე-ბურჯისას! გახსოვთ ეს ადგილი, ნიკო ბატონო, „ქართლის ცხოვრებიდან“?

ნიკო. (ძალიან გაჯავრებული). ყალბისმქნელები ჩაწერდნენ!

შადიმანი. (ღიმილით). ისტორიკოსებს ეხერხებათ ყალბისმქნელობა!

ნიკო. ცოტა გადაკრულში ხარ, პატივცემულო შადიმან!

შადიმანმა გულიანად გაიღიმა. მკლავები ისე გაშალა, თითქოს ნიკოს გულში ჩახუტებას უპირებსო, მიუახლოვდა კარისმეზობელს და ყურში უჩურჩულა:

„მართალსა ბრძანებთ. დილის ვარჯიში შევასრულე — ორასი გრამი... სხვათა შორის, რადგანაც დღეს თქვენთან ფრიად პატივსაცემი ხალხი მოიყრის თავს, არაყსაც მე გამოგიგზავნით“.

„რატომ? არაყი მაინც იყიდება მაღაზიებში!“ — გაოცებით თქვა ნიკომ.

ისევ გაიღიმა შადიმანმა და ნიკოს დამცინავად გახედა. „ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ნიკო ბატონო, მაგრამ არაყი, რომელსაც თქვენ მაღაზიაში იყიდით, მოჭარბებულად წყალნარევია. მე პირდაპირ ქარხნიდან გამოვიტან...“

ნიკომ პირჯვარი გარდაისახა.

„დიახ, ჩვენც, — ბუხუნებს შადიმან შარანგია, — ბატონო ისტორიკოსო, მორწმუნენი გახლავართ, მაგრამ ისეთი მორწმუნენი, რომლებიც ხორცს თვითონ მიირთმევენ, ხოლო მამაზეციერს ძვლებსა სწირავენ“.

• • •

ნიკომ შინ ვერ მოისვენა, რაღაც მოიმიზეზა და სახლიდან წავიდა. თეკლემ არაფერი ჰკითხა. დარწმუნებული იყო ნიკო ინსტიტუტს მიაშურებდა. დათქმით კი დათქვა, შვილის დისერტაციის დაცვას არ დავესწრები, უხერხულიაო, მაგრამ, ეტყობა გულმა არ მოუთმინა და წავიდა. ჰო, შეუმჩნევლად შეიპარება ნიკო დარბაზში, სადღაც კუთხეში მიიმალება და მორიდებულად დაჯდება მერხზე. წიგნი ხომ წაიღო? იმ წიგნს გადაშლის, სათვალეს მოირგებს და იკითხავს და იკითხავს, ვითომ მოვალეობის გამო მობრძანებულა, თორემ დისერტაციას და დისერტანტს რა ბედი ეწევა, ოდნავაც არ აინტერესებს... კი, თეკლეს და ლილის გაეპარა ნიკო, ნამდვილად გაეპარა, არც კი გამოუტყდა ადრინდელი გადაწყვეტილება შევცვალე, არ შემიძლია პაექრობას არ დავესწროო. ჰოდა დიასამიძეთა სახლში თეკლე, ლილი და მზარეულები დარჩნენ. სადაც არის რუსუდანისა და ლილის მეგობრები მოვლენ, ისინი დიღმისა და წავკისის შემოდგომის ყვავილებს მოიტანენ და დიასამიძეთა ბინა გამხიარულდება და გაიცინებს.

ზარმა დარეკა. კარი თეკლემ გააღო — და გაოცდა, როცა ქალიშვილების ნაცვლად გულმოსული ნიკო შემოეფეთა.

„ჩუჩუნამ ხიზილალა მოგიტანათ?“ — დაცინვით ჰკითხა ნიკომ.

„ჯერ არა, მაგრამ მოიტანს“, — დაბნეულად უპასუხა თეკლემ, და ნიკომ იფეთქა.

„არ მოუტანია და ვერც მოიტანს! დიახ, ვერც მოიტანს და ავლაბრის ბაზართან, სასადილოთა გამგეების ბაზართან ისტორიას ნუ ახსენებთ! ყველამ თავის თავს მოუაროს, თავისი ადგილი მოიძიოს! დიახ, ასეა ეს!“ და ნიკომ პერგამენტის ქაღალდში შეხვეული შავი ხიზილალა თეკლეს გაუწოდა, მერე გაოცებულ მეუღლეს თვალი ჩაუკრა და ცერად გახედა. — „მაცივარში შედევი“.

„ჰო, ისტორიას მოეშვით! თუ ვინმემ მიკითხოს, შინ არ ვარ“.

და ნიკო თავის ოთახში ტახტზე ტანთგაუხდელად წამოწვა. მკლავები კისრისქვეშ ამოიდო და თვალი ჭერს გაუყარა.

„...ახლა უკვე მეორე ოპონენტი ლაპარაკობს. პატივცემული და ღვაწლმოსილი პროფესორი სილოვან რამიშვილი. დარბაზი სულგანაბულია, გულისყურით უსმენს პროფესორს და დარბაზში ჟღერს რამიშვილის ტენორი: დიახ, მექანიზაცია თანდათან უფრო ღრმად დაინერგება ქართული სოფლის მეურნეობაში. ამაღლდება მიწათმოქმედების კულტურა, უფრო გაიმართება წელში გლეხი და ნაკლების ჯაფით უწინდელზე მეტს მოიჭირნახულებს, ამას ვიდასტურებს დისერტანტის ეს, მე ვიტყოდი, ბრწყინვალე შრომა...

აქა-იქ ჩაიცინებენ. ისე ჩაიცინებენ, ვითომ არაფერიაო, მაგრამ რამიშვილს ფხიზელი სმენა აქვს და ბასრი თვალი. ამ ჩუმ ჩაცინებასაც დაინახავს და გაიგონებს და თვითონვე დაცინვით გადმოხედავს ვითომ მორიდებულად მოღიმართ, აზრს არ გაწყვეტს და დაჯერებით დაასკვნის:

„...და ამის გამო შრომის ავტორი ღირსია მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მინიჭებისა“.

უმთავრესია დასკვნა და ხომ გაიგონეთ, მთავარმა ოპონენტმა რაც ბრძანა? ყველაფერი დანარჩენი ფორმალობაა. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე დამსწრეთ მიმართავს, ხომ არავის სურს აზრის გამოთქმაო. დარბაზი დუმს. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე განმეორებით მიმართავს დარბაზში მსხდომთ და რადგანაც დარბაზი განმეორებითაც დუმილით უპასუხებს, თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს სხდომას დროებით შეწყვეტს და საბჭოს არაწევრებს სთხოვს დარბაზი დროებით დატოვონ. სტუმრები აიშლებიან, ყველანი დისერტანტს ეღიმილებიან და ამ ღიმილით წინასწარ ულოცავენ გამარჯვებას... მერე ყველაფერი წესის მიხედვით: კენჭისყრა და დათვლა, სამეცნიერო საბჭოს ოქმის შედგენა სულ ოციოდე წუთს გაგრძელდება. მერე დარბაზის კარი გაიღება, ხალხს დარბაზში მიიწვევენ, დისერტანტი კათედრაზე დადგება, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ხალხს დააწყნარებს და საბჭოს მდივანი ოქმს წაიკითხავს. ტაში. მილოცვები. კოცნა. ხმაური.

ნიკომ საათს დახედა. სრული ოთხი საათია. ახლა უთუოდ დამთავრებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომა. რუსუდანი და რევაზი სტუმრებს ეპატიჟებიან, თუმცა დაპატიჟება რაღად უნდა — მთელი საბჭო გეახლებათ და დიასამიძეთა ოჯახი მზად უნდა დახვდეს.

ტახტიდან წამოიჭრა. სასადილო ოთახში ქალიშვილების გუნდი დახვდა. მთავარ სუფრას, რომელიც ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იყო გაშლილი, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოუარა, მერე კმაყოფილების გამოსახატავად ქალიშვილებს ალერსიანად გაუღიმა და სამზარეულოში თეკლეს და ლილის ეწვია.

„ხიზილალა ჯერ მაცივარში იყოს, კალმახიც!“ ბრძანების კილოთი თქვა ნიკომ, მეუღლეს და რძალსაც გაუღიმა და ისევ სასადილო ოთახში შემოიჭრა.

„სადაც არის სტუმრები მოვლენ“.

„მობრძანდნენ, ნიკო ბატონო, მობრძანდებიან და დავხვდებით“.

ნიკომ კიდევ კარგახანს იბორიალა ოთახიდან ოთახში, რამდენჯერმე ქუჩაშიც გაიხედა. მაგრამ სტუმრები არ გამოჩნდნენ და არა.

მეექვსე საათი დაიწყო. ეს უკვე მეტისმეტია. არა, ნიკო დიასამიძეს ამდენის მოთმენა არ შეუძლია, ჯოხი მოიხელთა და ქუჩაში გავიდა.

ხალხი სამუშაოდან ბრუნდება შინ და ქუჩაში მანქანების ჭედვაა, ტროტუარებიც სავსეა ხალხით და ნიკო დიასამიძე ამ მოზიმზიმე ხალხს შეერია, მიჰყვება ქუჩას, არა, ქუჩას კი არა, ხალხის დინებას მიჰყვება ნიკო დიასამიძე. მიდის, წინ მიდის, რომ დიასამიძეთა სახლში მომავალ სტუმრებს შეეგებოს და ვერის ხიდზე ამოჰყო თავი.

„საით, ნიკო ბატონო?“ — შემოესმა შარანგიას ხმა, და ნიკო შედგა, თვალები დააფახულა, ვითომ გაუღიმა კარისმეზობელს.

„ცოტა საქმე მაქვს, შადიმან!“

„გამოგყვებით!“

„არა. შენ სახლში წადი, ქალებს მიეშველე... მეც მალე მოვბრუნდები“, — დაბნეულად თქვა ნიკომ, შადიმანის პასუხისათვის არ დაუცდია და ელბაქიძის აღმართს შეუყვა.

...მერე ისევ ვერის ხიდზე აღმოჩნდა ნიკო დიასამიძე. ჰო, აღმართზე სიარული ეძნელება ნიკოს, ელბაქიძის აღმართი ნახევრადაც ვერ იარა და დაიქანცა, სუნთქვა გაუხშირდა, მუხლები მოეკვეთა, ჭადარს მიეყრდნო, მუხლებში ქარი ამოიღო და ნელ-ნელა დაეშვა დაღმართზე, შინ ბრუნდება ნიკო დიასამიძე. სტუმრები უთუოდ უკვე მოვიდნენ და მასპინძელს კითხულობენ. ჰოდა, მასპინძელიც ახლავე გეახლებათ, აპატიეთ, პატივცემულო სტუმრებო, მცირე შეფერხება ნიკო დიასამიძეს.

ძალა მოიცა და ნაბიჯს აუჩქარა. სახლს მიახლოებულმა თავის ბინას ახედა. ფანჯრის რაფას ისე გადმოყრდნობია დიასამიძის რძალი, სადაც არის გადმოფრინდება, და ნიკო დიასამიძე შეკრთა, შეშინდა.

„ჩანს ჯერაც არ მოსულან“.

ლასლასით აიარა კიბე. ღია კარი და სიჩუმე შემოეგება. შეშფოთებული ლილი ფანჯარასთან დგას და ისევ ქუჩაში იმზირება. ქალიშვილები ზვიადის ოთახში შეკეტილან, სამზარეულოში დაბალ სკამზე დაპატარავებული და გაოგნებული თეკლე ზის, მაცივართან შადიმან შარანგია გაჯგიმულა.

არავინ ესალმება, არავინ უღიმის, ხმა დაკარგვიათ, გაოგნებულან და გაშეშებულან. სიჩუმე და შიში დაუფლებია ნიკო დიასამიძის ოჯახს.

გაწყობილ სუფრას ნაბიჯ-ნაბიჯ შემოუარა, ხორაგით დახუნძლული და უკაცო სუფრა მოწყენილად მოეჩვენა, თითქოს ძილი შემოპარვია სუფრას და თვლემს, გულში რომელიღაც ძაფი ჩაუწყდა და სავარძელში ჩაჯდა.

სასადილოში თეკლე შემოვიდა, სავარძელში ჩათვლემილი მეუღლე რომ დაინახა, იწყინა—კაი დრო და ადგილი კი უპოვნია ძილისთვისო — გაიფიქრა და განგებ ჩაახველა, მერე სკამები ხმაურით გადაადგილა, სინათლეც კი ჩართო, გამოაფხიზლებსო, მაგრამ ნიკო ისევ უძრავად იჯდა სავარძელში და ნებიერად თვლემდა.

რძალს მოუხმო თეკლემ.

„სადაცაა სტუმრები მოვლენ, გამოაფხიზლე, სირცხვილია“... ლილი მამამთილის გვერდით ჩაჯდა სავარძელში.

„ჩვენ ხვალვე წავალთ“.

ცოტა არ იყოს ხმამაღლა და გაჭიანურებულად თქვა ლილიმ. კი არა თქვა, ყურში ჩაუმარცვლა ნიკოს და ნიკოს, თითქოს მართლა ეძინა და რძლის ხმამ გამოაფხიზლაო, — ჯერ შეიშმუშნა, ოდნავ გაიზმორა, მერე თვალები გაახილა და უგუნებოდ თქვა:

„ვერ გავიგონე“...

„ზვიადი და მე ხვალვე წავალთ-მეთქი“. ნიკომ თვალები ისევ მილულა და უხალისოდ მიუგო:

„ჰოო, წადით“.

„მე ყველაფერი მოვამზადე“.

„კარგია. ძალიან კარგია, რომ ყველაფერი მოგიმზადებია“, ისევ უხალისოდ მიუგო ნიკომ.

კედლის საათმა შვიდჯერ დაჰკრა.

„სადაცაა მოვლენ“, — თქვა ლილიმ და ფანჯარასთან მიიჭრა.

თეკლემ სამზარეულოდან გამოსძახა, — „მოდიან“? გვეშველა! აბა, შეეგებეთ!“

„მე ვთქვი, — სადაცაა მოვლენ მეთქი“ — ლილიმ სუფრას შემოუარა — „აქ სამინისტრო დაბრძანდება (სამინისტროს ტერიტორიაზე ორიოდე სკამი გამოწეული იყო და ლილიმ „გაასწორა“). აქ, აი ასე გაყოლებით. სუფრის ბოლომდე, სამეცნიერო საბჭოს წევრები დაბრძანდებიან. სამეცნიერო საბჭოს წევრების პირდაპირ — პარტკომი და პროფკომი. მორჩა. საპატიო სტუმრები მაგიდას უსხდიან. თუ ადგილი დარჩა, შემთხვევით მოსულ ხალხსაც მათ გვერდით დავსვამ, თუ არ დაეტევა და აგერ, ჩემს ოთახში! მორჩა და გათავდა. ყველანი სუფრას უსხდიან. საჭიროა თამადის არჩევა“.

„იქნებ ინსტიტუტში დაგერეკათ!“ — ვედრებასავით თქვა ნიკომ.

ლილი შეკრთა. თითქოს ახლა იგრძნო, რომ დისერტაციის დაცვა ძალზე გაჭიანურდა.

„სააქტო დარბაზში ტელეფონი არ არის... უთუოდ მოდიან, თორემ თვითონ დაგვირეკავდნენ“. და ფანჯარას მიახლოვებულმა ლილიმ ხელები ჰაერში შეისროლა და ისტერიულად შესძახა:

„მახარობელი მოდის! რუსიკო მოდის!“

ნიკო სავარძლიდან წამოიჭრა, თეკლე სამზარეულოდან გამოფუსფუსდა, ლილის ოთახიდან ქალიშვილები ტკრციალით გამოცვივდნენ.

კარის გაღება ყველას ლილიმ დაასწრო.

რუსუდანი სვენებ-სვენებით და უხალისოდ ამოდიოდა კიბეზე, ფეხები უკან რჩებოდა, თითქოს არ სურდა სახლში შემოსვლა. კარის ზღურბლზე მამას რომ მოჰკრა თვალი, გული შეუტოკდა და შედგა.

• • •

დიასამიძეების ბინა მკრთალადაა განათებული, გაწყობილი სუფრა თვლემს. ზვიადის ოთახში ტახტზე წამოწოლილა თეკლე. შორიახლო რუსუდანი და ლილი სხედან და ხმადაბლა საუბრობენ. სუფრის თავთან, სავარძელში ნიკო ზის. ერთ-ერთი სტუმარი შადიმან შარანგია ოთახის კუთხეში მიმჯდარა, მალულად გასცქერის სუფრას — რა ღმერთივით პურმარილი ფუჭდებაო, ფიქრობს და წკიპზეა — სადაცაა ადგება და წავა. ასე გაწყობილ სუფრას დაუქმებულად პირველად ხედავს შადიმანი და ბოღმა ყელში აწვება. ჰო, ადგება და წავა ეს ერთადერთი სტუმარიც, მაგრამ სტუმარს მასპინძლისა ერიდება, — მასპინძელი სავარძელში ზის და თვლემს. ჯერ სტუმრების ლოდინმა დაღალა მასპინძელი... მერე? რუსუდანი მოვიდა და სისხლი ამღვრა ნიკო დიასამიძეს. სისხლი ამღვრა, თვალებში და სახეზე მოაწვა, ტვინში აუვარდა და ვერაფერი თქვა, ვერავის გაუჯავრდა, ვერ მოიოხა გული... ერთი ამოიგმინასავით და სავარძელში ჩაჯდა. მას შემდეგ თითქმის ერთი საათი გავიდა და ნიკო დიასამიძე ისევ სავარძელში ზის. სუნთქავს კია, თვალები დაუხუჭავს, ზურგით მიყრდნობია სავარძელს და არაფერს ამბობს.

ყველანი რომ გაიკრიფნენ ოთახიდან, ნიკომაც რომ სავარძელში ჩაიძინა, შადიმანმა დრო იხელთა და პატარა თეფშებზე დატყეპებული ხიზილალა სუფრიდან აალაგა და მაცივარში შედო, მერე კალმახებს ჩამოუარა, მომცრო ქვაბში მოწიწებით ჩააწყო და კალმახსაც მაცივარში უპოვნა ადგილი... მერე ხმაურიანი ნაბიჯით შემოუარა სუფრას, ერთი ბოხად ჩაახველა, მაგრამ ნიკომ ხმა არ გასცა. ოდნავაც არ შეირხეულა სავარძელში ნიკო, და შადიმან შარანგია კარის გაღებას მოერიდა, პატივცემული ნიკო გამოიღვიძებსო, და ოთახის კუთხეში ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე.

ერიჰაა, სიძე-ცოლისძმა დისერტაციის ჩაფლავების შემდეგ სიძის სახლში გაპარულან, ქალბატონი თეკლე, რუსუდანი და ლილი ცალკე შეკეტილან ოთახში, ვიღაცეღაცებს კიდევ ხედავდა შადიმან შარანგია დიასამიძეთა სახლში მოფუსფუსეთ, ისინიც აორთქლდნენ, პატივცემული ნიკო სავარძელში თვლემს და შადიმან შარანგიამ გაწყობილ სუფრას უდარაჯოს? შადიმანს შია და ლუკმა ვერ ჩაუდვია პირში, შადიმანს სწყურია და ერთი ჭიქა რაა, ერთი ჭიქა ღვინოც ვერ დაულევია... ჰაიდა, ადგა და მიდის შადიმან შარანგია.

...და ნიკო წამოდგა, ოთახს მიმოავლო თვალი.

„შადიმან, შენ აქა ხარ?“

„აქ გახლავართ, ნიკო ბატონო!“

„კარგია. ძალიან კარგია, რომ შენ აქა ხარ! მე მეძინა?“

„ცოტა, ძალიან ცოტა გეძინათ“.

„როგორ მომივიდა! მარტო რატომ დაგტოვეს? ზვიადი არ მოსულა?“

„ჯერ არ მოსულა“.

„რუსუდან!“ — უჩვეულოდ ხმამაღლა შესძახა ნიკომ.

რუსუდანი და ლილი ერთად შემოვიდნენ.

„რატომ ბჟუტავს სინათლე? აანთეთ ყველა ჭაღი. თეკლეს მიხმეთ!“

„მამი, დედა შეუძლოდ არის, წევს“, — ჩურჩულით თქვა რუსუდანმა.

„არაფერია, ლილი გააყვანებს და აქ მოიყვანს, შენ როიალზე სამხიარულო დაუკარ, ოღონდ ხმამაღლა, მეზობლებმაც რომ გაიგონონ“...

„სირცხვილია, მამი!“

„ეგ მე ვიცი! შენ დაუკარი, სამხიარულო დაუკარი, ჰო, საცეკვაო დაუკარი, ლილი და დედაშენი დაგიტაშუნებენ, შადიმანი და მე ვიცეკვებთ! მწუხარება ამიკრძალავს, ლხინი მიბრძანებია ნიკო დიასამიძის ოჯახში, დიახ, ლხინი მიბრძანებია!“

ოთახში თავწაკრული თეკლე და ლილი შემოვიდნენ, ნიკომ შადიმანი, თეკლე და ლილი სუფრაზე დასვა, რუსუდანს კი უბრძანა როიალთან დამჯდარიყო და დაეკრა.

„ერთი ის აგრონომი მომცა აქ!“ — გულწრფელად ინატრა ნიკომ.

„რომელი აგრონომი, მამი?“ — წამოენთო რუსუდანი.

„რომელი და ჭრელი... ჯინორიძეა გვარად, ხომ?“

„თავხედია!“ — უმეხად თქვა რუსუდანმა და ნიკო დიასამიძე აიფოფრა:

„რამიშვილი და ცხადაძე შენი ძმის მოსაზრებებს აქებდნენ, ჯინორიძემ დაამტკიცა, რომ შენი ძმაც შემცდარია და მისი მაქებარი რამიშვილი და ცხადაძეც, ამიტომაც არის ჯინორიძე თავხედი?“

„ნეტავ მოგესმინა მისი სიტყვა! ისეთი ქედმაღლური კილო“...

„დიახ, კილო! — თანდათან უფრო აიფოფრა ნიკო, — მოწინააღმდეგეს კილოს ვეწუნებით! არ გვეხამუშება მოწინააღმდეგის კილო! სიმართლეს, ჭეშმარიტებას გვეუბნება. აშკარად ვხედავთ მისი აზრის სისწორეს და რადგანაც სამაგიეროს ვერაფერს მივაგებთ, კილოს ვეწუნებით, ქედმაღლობას ვწამებთ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი აზრის უსწორობა დაამტკიცა. ჰაი დედასა, კარგი გამოსავალია“...

სიტყვა ვერავინ შეუბრუნა. გაწყობილი სუფრის გარშემო შეღერებულად დააბიჯებს ნიკო და თითქოს თავისთავს ეკამათებაო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისვრის დაუმთავრებელ ფრაზებს — „ისტორია! დიახ, ისტორია!“ „კილო!“ „მადლობა მომიხსენებია“. „ესეც თქვენი დოკუმენტაცია“...

ზარმა დარეკა. ყველანი ერთმანეთს შეაცქერდნენ და ერთმანეთის თვალებში მხოლოდ გაკვირვება ამოიკითხეს.

„ზვიადია“, — თქვა ნიკომ და კარისკენ დაიძრა, მაგრამ შადიმანმა დაასწრო.

სილოვან რამიშვილი და ილარიონ ცხადაძე შემოვიდნენ. შადიმანმა კარი ღიად დატოვა და სადარბაზოში გავიდა, დანარჩენ სტუმრებს შევეგებებიო, მაგრამ სადარბაზოში არავინ იყო და შადიმანი გულნატკენი შემობრუნდა.

სილოვან რამიშვილი არავის მისალმებია. ქუდი და პორტფელი სავარძელში მიაგდო და სუფრის გარშემო დაიწყო სიარული. ცხადაძემ მორჩილად დაუკრა თავი მასპინძლებს, ქალბატონ თეკლეს ხელზე ემთხვია. მოწიწებით დაჯდა სკამზე, ქუდი და პორტფელი მუხლებზე დაიწყო და მოწიწებით რამიშვილს აადევნა თვალი.

„მე მხოლოდ ორიოდე წუთით. ზვიადს მიხმეთ!“ — ამოისროლა რამიშვილმა და ნიკოს გაუყარა თვალი.

„შინ არ გახლავთ“,—მშვიდად მიუგო ნიკომ.

რამიშვილმა მაჯის საათს დახედა.

„ზვიადი შინ არ არის? კეთილი, იყოს ასე! გადაჭრით გაცხადებ — უსწოროა სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება. მოსკოვში წავალთ, იქ წარვადგენთ შრომას და იქ დაიცავთ ხარისხს!“

„მოსკოვში? რატომ, პროფესორო?“ — გაიოცა ნიკომ.

რამიშვილი სულ ახლოს მივიდა ნიკოსთან, ისე ახლოს, რომ ნიკოს ეუხერხულა და ცოტათი უკუდგა.

„სწორედ მოსკოვში!— ხმას აუწია სილოვან რამიშვილმა, — დიახ, მოსკოვში! იქ გაგვიგებენ, იქ გამოჩნდება ვინ არის მართალი — სამეცნიერო საბჭო, თუ ჩვენ! არაოფიციალური ოპონენტის აზრს მეტი ფასი დასდეს, ვიდრე ჩემსას, გესმით, ბატონო ნიკო, რას ნიშნავს ეს? გესმით თქვენ ამ ანგარიშის გასაღები? სადისერტაციო შრომა აქ არაფერ შუაშია, აქ ნიჭია მთავარი მიზეზი! დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ზვიად დიასამიძე ნიჭიერია და ნიჭს ყოველთვის მტერი და მოქიშპე ჰყავს! ყოველ დროში ასე იყო, ახლაც ასე გახლავთ! დიახ, ასე გაოცებული ნუ მიცქერით, მე სიმართლეს მოგახსენებთ!“

ნიკო დიასამიძემ კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან.

„ნიჭს ვერავინ წაგვართმევს, ჩემო სილოვან!“

„გზას გადაუღობავენ, ფრთებს შეაჭრიან, მარწუხში მოამწყვდევენ, მორჩილებას შეაჩვევენ, მორჩილება და ნიჭი კი შეუთავსებელია! დიახ, ნიჭი და მორჩილება ერთ ღამესაც ვერ გაათევენ ერთ ჭერქვეშ, ასეა ეს, ჩემო მეგობარო... და მერე ვინ დაამტკიცა, რომ რამიშვილის გონება უსწოროდ სჯის, დიასამიძის თვალი ელამია, ხოლო აგრონომის გონება და თვალი“...

„არჩილ ჯინორიძემ“,—თქვა ცხადაძემ და ზეზე წამოდგა.

ახლა ილარიონ ცხადაძეს მიეჭრა რამიშვილი, დამცინავად გაუღიმა:

„მერე და ვინ არის ეს ცხოვრება, პატივცემულო დოცენტო? თქვენ და თქვენს კოლეგებს რატომ გგონიათ რომ ეს ცხოვრება არ ვარ მე და არის სხვა ვინმე. თუნდაც თქვენი ჯინორიძე? ვინც ტრაქტორზე და კომბაინზე ზის, მაინცდამაინც ის არის ცხოვრება? ჩემი ცოდნა, ჩემი გამოკვლევანი, ჩემი შრომები და უძილო ღამეები არ არის ცხოვრება? დოცენტ ცხადაძეს და მის კოლეგებს კი უნდა მოეხსენებოდეთ, რომ სილოვან რამიშვილს თავის დროზე ნამგლით უმკია, ბარით უბარავს, სასხლავით უსხლავს და ტრაქტორზეც მჯდარა... და რატომ არ არის სილოვან რამიშვილი ცხოვრება? და მაინცდამაინც კოლმეურნეობის აგრონომი რატომ არის ცხოვრება? მიპასუხეთ, დოცენტო ცხადაძე?“

რამიშვილი ცეცხლს ჰყრიდა თვალებიდან, ბობოქრობდა, ღმუილივით ისმოდა მისი სიტყვები. ცხადაძე არ მოელოდა ასეთ გააფთრებულ შემოტევას, რამიშვილს პასუხი ვერ ჰკადრა და წასვლა დააპირა.

ზარმა დარეკა. ისევ შადიმანმა გააღო კარი და როცა რამიშვილმა სამეცნიერო საბჭოს მდივანს — ლევან დოჭვირს მოჰკრა თვალი, მასთან მიიჭრა.

„აა, სწორედ დროზედ მობრძანდით, კოლეგა! წარმოიდგინეთ, ვერ დავარწმუნე პატივცემული ნიკო, რომ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უსწოროა, რომ შეცდომასთან, გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. თქვენ, თქვენ როგორ ფიქრობთ?“

„მგონი ყველაფერი ცხადია და ნათელი“, — ცივად თქვა დოჭვირმა.

რამიშვილს გულს არ მოეჯო დოჭვირის პასუხი და გამომწვევად ჰკითხა:

„მაინც რა არის ცხადი და რა არის ნათელი?“

„განა თქვენ არ იცით?“

„არა! მე არაფერი არ ვიცი!“

„სამეცნიერო საბჭო სწორად მოიქცა, პატივცემულო პროფესორო!“

და კვლავ იფეთქა პროფესორმა, გადაიხარხარა, გულიანად გადაიხარხარა, მერე გესლივით შეანთხია ლევანს:

„თქვენ სხვისი თავით დადიხართ ამ ქვეყანაზე!“

ყველა შეცბა. არავინ მოელოდა ასეთ უკმეხობას რამიშვილისგან. ლევანმა იგრძნო, რამიშვილის აღელვება უკვე ისტერიკაში იყო გადასული და წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც თავშეკავებით, დინჯად მიუგო:

„ვინ მოგახსენათ, პატივცემულო პროფესორო, რომ მე სხვისი თავით დავდივარ ამ ქვეყანაზე?“

„მოხსენებითი ბარათი არ მჭირდება! შევხედავ ადამიანს და უმალ მივხვდები, როგორი ჭკუაცა აქვს — თავისთავადი თუ მიმბაძველი“. მერე ლევანს ჩააცქერდა თვალებში და დაასკვნა: „თქვენ მიმბაძველი ჭკუა გაქვთ! დიახ, სწორედ მიმბაძველი ჭკუა!“

ეს უკვე მეტისმეტი იყო, და ლევანმა თავი ვერ შეიკავა.

„გაბოროტებული ხართ და ზრდილობას კარგავთ!“

„მიმბაძველობა უპირველესად უზრდელობაა, — უკმეხად მიუგდო რამიშვილმა, — ჯინორიძის გამოსვლამდე თქვენ ჭკუა ასე (ხელებით უჩვენა—სწორადო) გქონდათ, მისი სიტყვის შემდეგ — კი უცებ გადაგიტრიალდათ, მიდით ურნასთან და თეთრის ნაცვლად შავი კენჭი ჩააგდეთ... ახლა აქ გამოცხადდით. რომ მშობლებს მიუსამძიმროთ! მოგეხვდათ გულში? დიახაც რომ სიმართლეს მოგახსენებთ და ამიტომ მოგხვდათ გულში!“

...მასპინძლები უხერხულად გრძნობენ თავს. ყველაზე უფრო ნიკოა აწრიალებული, რამდენჯერმე სცადა რამიშვილის დაშოშმინება, მაგრამ ვერაფერს გახდა და დარბაზიდან გავიდა. მალე თეკლე და ლილიც მას მიჰყვნენ...

„არ დავმალავ, — ისევ თავშეკავებულად უპასუხებს ლევან დოჭვირი, — რომ შავი კენჭი ჩავაგდე. ჯინორიძის გამოსვლის შემდეგ, გულში რომ ჩაგეხედათ, თქვენც ასე მოიქცეოდით“...

„მუხანათურად გადაუჭერით გზა ახალგაზრდა მეცნიერს, — როგორღაც დაცხრა სილოვან რამიშვილი და ხმას დაუდაბლა, მაგრამ გესლს არ ანელებს, — გული ჩაუქოლეთ, ნიჭის დასამარება მოიწადინეთ. მაგრამ არ გამოვა, დიახ, არ გამოვა, ამხანაგო დოჭვირო! [illegible] დიახაც რომ ვიცი! თხუთმეტი შავი კენჭი იყო, [illegible] თხუთმეტი, ხომ? თხუთმეტი შავი კენჭის ავტორებს ჩამოგითვლით! ჩამოგითვალოთ? [illegible] კეთილი და პატიოსანი!“ მე იმასაც კარგად ვგრძნობ, ამხანაგო დოჭვირო, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები სანაგვე ყუთისთვის მამზადებთ, მაგრამ ნაადრევია! ურამიშვილოდ თქვენ არარაობას წარმოადგენთ და ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს თქვენი ჯინორიძე?“

„თქვენ მას იცნობთ“, — მიამიტად მიუგო ცხადაძემ.

„მე? მე ვიცნობ ჯინორიძეს?“ — გაიოცა რამიშვილმა.

„დიახ, თქვენ მას იცნობთ! იგი თქვენი ყოფილი სტუდენტია“, — დარწმუნებით თქვა ცხადაძემ.

„ჩემი სტუდენტი? — უფრო გაიოცა რამიშვილმა, — არა...არ მაგონდება! ეტყობა უნიჭო და ინტრიგანი იყო. ყოველი უნიჭო ღვარძლიანია და ბოროტი. მე ასეთებს ვერ ვიმახსოვრებ!“

„ეს კი მეტისმეტია!“

„დაჩუმდით! — შეუტია ცხადაძეს რამიშვილმა, — როგორ მიბედავთ? თქვენც ჯინორიძე გამიხდით?“

„თქვენმა აღზრდილმა ბევრი სიმართლე მოგახსენათ დღეს“, — შეეშველა ცხადაძეს ლევანი.

სილოვან რამიშვილი თვალებში ჩააცქერდა ლევანს და მერე დამარცვლა:

„ამასაც უთუოდ ვინმეს წაბაძვით ამბობთ!“

„ყოველ შემთხვევაში, არა თქვენი წაბაძვით!“

„თქვენ, — კიდევ უფრო დამარცვლა სილოვან რამიშვილმა, — თქვენ მე მაშინ მბაძავდით, ამხანაგო დოჭვირო, როცა მე კათედრას განვაგებდი, ახლა მე რიგითი პროფესორი ვარ!“

„სიცრუეა!“ — წამოიყვირა ლევანმა, და რამიშვილმა, თითქოს ძალა მოიცაო, უფრო გაცხარებით და გაწიწმატებით შეუტია:

„ჭეშმარიტება! სრული ჭეშმარიტება! თქვენ თანამდებობის პირებს ჰბაძავთ! თანამდებობის პირთა აზრი და გადაწყვეტილება თქვენთვის ბედია და თქვენ კათედრის მდივანი კი არ ბრძანდებით, არამედ კათედრის გამგის აზრების მდივანი!“

„ნებას არ მოგცემთ!“...

„არ ვსაჭიროებ! — შეაწყვეტინა რამიშვილმა სიტყვა დოჭვირს, — არავითარ ნებართვას არ ვსაჭიროებ... თქვენი ნებართვა თქვენთანვე დარჩეს, ამხანაგო მდივანო! რაც მე მოგახსენეთ, ალალი სიმართლეა, ყველანი გრძნობენ ამას, მე, ის (ცხადაძეზე მიუთითა), სხვები და სხვები, მაგრამ შენი ერიდებათ და ეშინიათ, რადგან შენ, — უფრო და უფრო დამარცვლა რამიშვილმა, — სხვისი საქმის გაკეთება არ გეხერხება, მაგრამ სხვისი საქმის გაფუჭების ოსტატი ბრძანდებით. ეს დღესაც ჩინებულად დაამტკიცე!“

„უსირცხვილოდ სცრუობთ!“, — მიახალა ლევანმა და ზურგი შეაქცია რამიშვილს.

„როგორ კადრულობთ, პროფესორო? ეს მეტისმეტია“, — შეუტია ცხადაძემ და სილოვან რამიშვილი ორივეს დააცხრა.

„მეტისმეტი? მეტისმეტი თქვენ ბრძანდებით და ჯინორიძის სიმართლე თქვენ დაიჭედეთ გულზე! მე და ზვიადი როგორმე გვერდს ავუქცევთ პატივცემულ აგრონომს. მოსკოვში წარვადგენთ დისერტაციას“.

„საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ“, — დარწმუნებით თქვა ცხადაძემ.

„არავითარი გადამუშავება! სწორედ ამ სახით“.

„ჩვენს ინსტიტუტს გადმოუგზავნიან დასკვნისათვის“, — ყრუდ ჩაილაპარაკა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მაინც გარკვევით გაიგონა და დაცინვით ჰკითხა:

„თქვენს ინსტიტუტს რატომ, პატივცემულო მდივანო?“

„იმიტომ, რომ შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობას ეხება!“

„მერე-და ეს საქართველო მარტო თქვენ ბრძანდებით? დოჭვირი და ცხადაძეა საქართველო? რამიშვილი არსად სწერია საქართველოში? არხეინად ბრძანდებოდეთ, მოსკოვში იცნობენ სილოვან რამიშვილს... რამიშვილი ქართულ სოფელსაც იცნობს, ქართულ სოფელში უცხოვრია რამიშვილს!“

„თქვენ დროს სხვა იყო“...

„მიჰქარავთ! — კიდევ უფრო იფეთქა რამიშვილმა, — დიახაც მიჰქარავთ! ჩემი დრო დღევანდელი დღეა! მე და ჩემმა კოლეგებმა შევქმენით დღევანდელი სოფელი და დღევანდელი დღე! დიახაც რომ ჩვენ ვართ დღევანდელი დღის ხუროთმოძღვარნი, ხოლო ზოგიერთნი, — ანთებული თვალები შეანათა ცხადაძესა და დოჭვირს რამიშვილმა, — დიახ, ზოგიერთნი მხოლოდ იმისათვის იღვწიან, რომ მოხერხებულად მოიხმარონ დღევანდელი დღე! ნუ მაყვედრით, რომ მე წარსულში მიცხოვრია, — სწორედაც ამიტომ ვხედავ დღევანდელ დღეს თქვენზე უფრო ხილულად!“

„მეტისმეტად სარგებლობთ თქვენი სიბერით“, — ისევე ყრუდ, თითქმის ჩურჩულით თქვა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მაინც გაიგონა.

„ბოდიში მოიხადეთ, ჭაბუკო! მე ხნიერი ვარ და არა ბებერი! და ზოგიერთი ბებერი, კარგად მოგეხსენებათ, ზოგიერთ ახალგაზრდაზე უფრო ახალგაზრდაა“...

...ოთახში ხმაურით შემოიჭრნენ ნიკო, თეკლე, შადიმანი, რუსუდანი და ლილი. ეტყობა, ესენი მეორე ოთახში ყურს უგდებდნენ სტუმრების პაექრობას და მოთმინების ფიალა აევსოთ.

„მეგობრებო, — დაიბუხუნა ნიკომ, — ქვეყანათა შორის მყარდება მშვიდობა, საჭიროა, მშვიდობა უპირველესად ადამიანთა შორის დავამყაროთ! შემიწყვეტია ომი და ზავი გამომიცხადებია! გთხოვთ სუფრას შემოუსხდეთ! დიახ, ძალიან დაგვიგვიანდა, პატიებას გთხოვთ“...

შადიმან შარანგიამ ხელმოჩრდილულად გახედა სუფრას.

„რა ღმერთივით პურმარილი ფუჭდება!“

ყველამ უხერხულობა იგრძნო და სილოვან რამიშვილმაც კი თანაგრძნობით შეხედა ცხადაძეს და დოჭვირს.

„ახლავე, ახლავე, ჩემო შადიმან, — უხერხულობის გასაფანტავად შეეხმიანა ნიკო. — ნუ მოიწყენთ, მეგობრებო, ლხინი ლხინია და ლხინს თავისი წესი აქვს. რუსუდან, შენ დაუკარი, ლილი იმღერებს, დანარჩენები დაგვიტაშუნებენ და შადიმანი და მე ვიცეკვებთ... მაგრამ ჯერ ყელი გავისველოთ, ჯერ სადღეგრძელო შევსვათ! აბა ცოცხლად, მხიარულად! თქვენ აქ, ჩემს გვერდით დაბრძანდით, პატივცემულო სილოვან... თამადობას მე გაგიწევთ, მოადგილედ შადიმანი დამინიშნავს“...

„მე მერიქიფედ ვიქნები, მოადგილედ პატივცემული პროფესორი დანიშნეთ, ნიკო ბატონო!“

„პატივცემული პროფესორი დაღლილია... მერიქიფეც მე ვიქნები, ჩემო შადიმან“, — თქვა ნიკომ და დოქს წაავლო ხელი, მაგრამ შადიმანი მიეჭრა და დოქი ჩამოართვა.

მეგობრებო, — დაიბუხუნა ნიკომ და სუფრას გადაავლო თვალი, მეჩხერმა სუფრამ გული ატკინა მასპინძელს, მაგრამ არ შეიმჩნია. თითქოს არაფერიაო და ცალცალკე შეეღიმილა ყველას: ჰო, თეკლესაც გაუღიმა და მეუღლის ღიმილმა გული აჰოვნინა თეკლეს, ნიკომ ლილის და რუსუდანს თვალი ჩაუკრა. მერიქიფეს უბრძანა, ჩემი ჭიქა შემივსეო, და როცა შადიმანმა სავსე ჭიქა მიაწოდა, თამადამ ჩაახველა და ხმა დაიწმინდა:

„მეგობრებო, თქვენის თანხმობით, ამ პირველი ჭიქით მინდა შემოგთავაზოთ დღევანდელი დღის სადღეგრძელო. — და სილოვან რამიშვილს შეაცქერდა, — დიახ, დღევანდელი დღის სადღეგრძელო, პატივცემულო პროფესორო!“

„დღევანდელი დღის სადღეგრძელო?“ გაიოცა რამიშვილმა.

„მაპატიეთ პატივცემულო პროფესორო, ვადღეგრძელებ სწორედ დღევანდელ დღეს“...

ზარმა დარეკა. თამადას ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის. კარის გასაღებად რუსუდანი წავიდა.

„მამი, ჯინორიძე გეახლათ!“ — ცივად თქვა რუსუდანმა.

რამიშვილი სკამიდან აიჭრა და ყველამ უხერხულად იგრძნო თავი.

„ჯინორიძე? ჯინორიძე მოვიდა? სთხოვე, ახლავე სთხოვე!“

„მე მივდივარ!.. — მკვახედ თქვა რამიშვილმა.

„შეუძლოდ ბრძანდებით, ბატონო პროფესორო?“ — ჰკითხა ცხადაძემ და ცხადაძე და დოჭვირიც ადგნენ.

რამიშვილმა ჯერ ნიკოს გაუსწორა თვალი, მერე დამცინავად გადახედა ცხადაძესა და დოჭვირს: „არა! მე ნაჭამარზე ამოსული ბალახი არა ვარ“.

და ვიდრე ჯინორიძე შემოვიდოდა დიასამიძეთა ოჯახში, სილოვან რამიშვილმა დიასამიძეთა ოჯახი დატოვა.

ნახ. გ. მაისურაძისა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

საჩხერე

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი პ. ჭიოკაძე

● კურორტი ჩიხურას ხეობაში ● აკაკის მუზეუმში ● „მოდინახეს" არქეოლოგია ● ტელეფონის სადგურები ● დეკორატიული ბაღი ● მარმარილოს საბადო.

☐ ბიჟამეჲ მდინარის ჩიხურას ხეობაში გაშენებულია კურორტი კვერეთი, რომელიც აკ. წერეთლის სახელს ატარებს. იგი განთქმულია სამკურნალო წყაროებითა და სუფთა ჰაერით. მწვანით შემოსილ კორპუსებში ერთდროულად ხუთასამდე ადამიანი ისვენებს. აქ ნახავთ მოსკოველ და ლენინგრადელ, კიეველ და მინსკელ, ბაქოელ და თბილისელ, სუმგაითელ და რუსთაველ, მურმანსკელ და ხაბაროვსკელ, დონბასელ და ურალელ დამსვენებლებს. მათ აქვთ დასვენება-გართობის ყველა პირობა.

☐ ყოველდღე უამრავი ექსკურსანტი მოდის დიდი ქართველი მგოსნის აკ. წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში. სხვიტორი გულღიად ხვდება სტუმრებს. ექსპონატებს დიდი ინტერესით ეცნობიან როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა ქვეყნის შორეული კუთხეებიდან ჩამოსული ადამიანები და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან. მუზეუმში ეწყობა ახალი გამოფენა, მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები.

„☐ მოდინახეს" მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია, რომელსაც არქეოლოგი ჟ. ნადირაძე ხელმძღვანელობს. ექსპედიციამ მოიკვლია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები ტომების ანტიკური ადრეული და გვიანი ხანის მდიდარი სამარხები, სადაც იპოვნეს ბაჯაღლო ოქროს საყურეები და მძივები, ოქროს საყურე მარგალიტის თვლით, რომაული ოქროს მონეტა და სხვ. არქეოლოგიური გათხრა-ძიება გრძელდება.

☐ რაიონს ემსახურება ათასნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური. ეს-ეს არის ას-ას ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურების მონტაჟი დამთავრდა შორეულ სოფელ კორბოულში და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. სოფელ არგვეთში მიმდინარეობს ასნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურის მშენებლობა.

☐ ათი ჰექტარი უჭირავს დეკორატიულ ბაღს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ხარობს ათასობით მარადმწვანე მცენარე. ბაღი მშრომელთა დასვენების საუცხოო ადგილია. საბჭოთა მეურნეობის დირექციის ეზოში აღიმართა დიდი აკაკის გრანიტის ძეგლი. მისი ავტორია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. თოფურიძე. მეურნეობაში მთავრდება აგრეთვე მძლავრი წყალსადენის მშენებლობა.

☐ „მოდინახეს" მიდამოებში აღმოაჩინეს მოწითალო და ვარდისფერი მარმარილოს საბადო. მიმდინარეობს მარაგის დადგენა და მოსამზადებელი სამუშაოები.

სურათზე: კურორტ კვერეთის ახალი კორპუსების ხედი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

სხვა გაზეთებიდან

ოთხი თირკმელის მფლობელი

ამ შემთხვევამ გააკვირვა პაციენტიც და ექიმიც. ავსტრალიის ქალაქ კოლაკის (დასავლეთი ვიქტორია) ორმოცდაათი წლის მცხოვრებმა ვინმე მარსელ როზენბლასმა წელის მწვავე ტკივილი იგრძნო და ექიმს მიმართა. ექიმ რენტგენოლოგთან სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ პაციენტს ოთხი თირკმელი ჰქონდა. ტკივილი გამოწვეული იყო ერთ-ერთი თირკმლის დაავადებით, რომელიც წარმატებით იქნა ამოკვეთილი. ამჟამად მარსელ როზენბლასი თავს ნორმალურად გრძნობს. ამას იტყობინება მელბურნიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ყულარული...

რამდენიმე დღეა მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში იკრიფება თითა და თავრიზული, თბილისური. ყულარელები ყოველდღე ათობით ტონა ყურძენს უგზავნიან თბილისელებსა და რუსთავის მშრომელებს.

წელს ყულარელები 462 ჰექტარ ვენახში გეგმით გათვალისწინებული 2.875 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდიან 3.150 ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს. ჩინებულად მოუარეს ყულარელებმა ზვრებს და კარგ მოსავალსაც იღებენ. ჰექტარზე ნაცვლად 62 ცენტნერისა 72 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

— ჩვენ გვალვისა არ შეგვშინებია, — ამბობს მეურნეობის დირექტორი, ორგზის ლენინის ორდენოსანი გიორგი ქათამაძე, — მიწის სამუშაოებს, მწვანე ოპერაციებსა და წამლობას აგროწესების დაცვით ვაწარმოებდით და შედეგიც საუცხოოა. ნაკისრ ვალდებულებას უთუოდ შევასრულებთ.

— ყოველდღე ოცდაათ ტონაზე მეტი ყურძენი იკრიფება, — თქვა უბნის უფროსმა ნანა ჩაკვეტაძემ. 130 ტონა ყურძენი უკვე გავუგზავნეთ ქალაქის მშრომელებს.

სურათზე: მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გიორგი ქათამაძე და უბნის უფროსი ნანა ჩაკვეტაძე, რომლებიც კმაყოფილი არიან ყურძნის ხარისხით.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

აღიარება

ფრანგული ჟურნალი და ქართული ღვინო

საქართველო — ოდითვე მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა — სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს საერთაშორისო სარბიელზე.

კომუნისტური შრომის საწარმოს — სამტრესტის თბილისის ღვინის № 1 ქარხანას ქართული მეღვინეობის შესანიშნავი ტრადიციები აქვს. აქ დამზადებული 30 დასახელების სამარკო, ნახევრადტკბილი და ორდინარული ღვინოები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით.

ქარხანაში განსაკუთრებული ღონისძიებები ხორციელდება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. სასიხარულო ფაქტია, რომ განვლილი 10 წლის მანძილზე ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. საწარმოს კოლექტივის მიერ გამოშვებულმა ღვინოებმა „წინანდალმა" და „მუკუზანმა" უკვე მიიღო „ხარისხის" ნიშანი, ხოლო ღვინოები „ნაფარეული თეთრი", „თელიანი", „ყვარელი", „ახმეტა", „ხვანჭკარა", „ქინძმარაული", „ახაშენი" წარდგენილია „ხარისხის ნიშნის" ატესტაციაზე.

აქ გამოშვებულ ღვინოებს არაერთხელ უსახელებიათ ჩვენი სამშობლო არაერთ საერთაშორისო კონკურსსა და გამოფენაზე.

გასული წლის ნოემბერში იალტაში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსზე, რომლის მონაწილეც ვიყავი, ქარხნის მიერ წარდგენილმა თერთმეტმა სამარკო და ნახევრადტკბილმა ღვინომ დაიმსახურა ოქროს მედლები. ასევე დიდი წარმატებებით სარგებლობდა ჩვენი ღვინოები მიმდინარე წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ამჟამად ღვინოების გარდა გამოფენის მედლებით დაჯილდოებულ იქნენ მოწინავე სპეციალისტები, ქარხანამ კი გამოფენის სიგელი მიიღო.

ქართული ღვინოები აღიარებულია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებშიც. ქარხნის კოლექტივს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ღვინის პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენი საწარმო საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტირების პიონერია. წლების მანძილზე ღვინოები იგზავნება ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, მონღოლეთში, იაპონიაში, დანიაში, ფინეთში, ბელგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თურქეთში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში და სხვაგან; და ქართულმა ღვინომ თავისი მაღალი ხარისხით, გაფორმებითა და შეფუთვით საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ქართული ღვინოების ექსპორტზე მეღვინეობის ისეთ ცნობილ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის საფრანგეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ახლახან ქართული ღვინის საყოველთაო აღიარების ფაქტია ისიც, რომ საფრანგეთში გამომავალ ჟურნალ „საერთაშორისო მევენახეობა-მეღვინეობის გაერთიანების ბიულეტენში" გამოქვეყნდა პროფესორ მ. ლოჟელის სტატია სათაურით: „ქართული ღვინო გადის მსოფლიო ბაზარზე".

ავტორი აღნიშნავს, რომ „უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიო სარბიელზე გამოჩენას იწყებს ქართული ღვინო, რომლის შესახებაც რამდენიმე წლის წინათ დასავლეთის ქვეყნებში არაფერი იცოდნენ, და რომ მევენახეობას საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. და ღვინოსაც ძალიან კარგი ხარისხისას აწარმოებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მოხდება მევენახეობის შემდგომი ფართო განვითარება, რადგან საქართველოს მეღვინეობის მრეწველობის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით, საუკეთესო შეფუთვით, და, რაც მთავარია, ის გაცილებით იაფია, ვიდრე ის პროდუქცია, რომელსაც უშვებენ ჩვენთან, იტალიაში და, თუ გნებავთ, ესპანეთსა და საბერძნეთში".

გ. ნიკოლაიშვილი,

სამტრესტის ღვინის № 1 ქარხნის მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი.

• • •

სურათზე: სამტრესტის თბილისის № 1 ღვინის ქარხნის მიერ გამოშვებული საექსპორტო ღვინოები და საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული მედლები.

გვესაუბრებიან სოფიის გმირები

სოფიაში მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, პირველ რიგში ჩვენმა თანამემამულეებმა შოთა ლომიძემ და ლევან თედიაშვილმა საერთო აღიარება ჰპოვეს. ჭიდაობის ბულგარელ თაყვანისმცემლებს შეუყვარდათ ქართველი ათლეტები გაბედული და ეფექტური ბრძოლისათვის. ყოველ მათს ლამაზ ილეთს, ან გამარჯვებული რომ ტოვებდნენ ხალიჩას, მიაცილებდა მრავალათასიანი ტრიბუნების ერთსულოვანი ტაში.

და აი ოქროსმედლებიანი ჩვენი ბიჭები, რომლებიც გუშინ სოფიიდან თბილისს დაბრუნდნენ, ჩვენი სტუმრები იყვნენ. გაიმართა გულღია საუბარი. ორივე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა შეჯიბრების ორგანიზაციის, ბულგარელ მეგობართა გულთბილი მიღების, სტუმართმოყვარეობის გამო. შეჯიბრების მოწყობის თვალსაზრისით. — ამბობს შ. ლომიძე, — სოფიის ჩემპიონატი უფრო წინ დგას, ვიდრე მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი მეხიკაში. მსაჯობა ჩინებული იყო. არბიტრი ხალიჩაზე თვითონ იღებდა გაფრთხილებას, თუ ჭიდაობა უილეთოდ ჩაივლიდა. ამან, რა თქმა უნდა, კიდევ მეტი მიმზიდველობა და სანახაობითი მხარე შესძინა ასპარეზობას.

შოთასაც და ლევანსაც ძალიან მოსწონთ ირანელების ჯავადისა და გორბანის (48 და 52 კილოგრამამდე) და ამერიკელ გეიბის (68 კილოგრამამდე) მაღალი ოსტატობა, შეუპოვრობა, სპორტული ჟინი, საკუთარი ძალების რწმენა. ჩვენს შეკითხვაზე — მაინც ვის თვლით თქვენს სათაყვანო ათლეტად, შოთამ ასეთად გ. კარტოზია დაასახელა, ლევანმა — გ. საღარაძე.

ვთხოვეთ სოფიის ამ გმირებს ელაპარაკათ ერთმანეთზე. — ამას ზედმეტ ქათინაურად ნუ ჩამითვლით, — ამბობს შ. ლომიძე, პირდაპირ გეტყვით, ზ. ბერიაშვილის შემდეგ ახლა მსოფლიოში ლ. თედიაშვილისთანა მოჭიდავე მე არ მეგულება. თქვენ თვითონ გასინჯეთ — წმინდა გამარჯვებათა სერია, უკანასკნელ დღეს სამი შეხვედრა, საღამოს ფინალში გამარჯვება იაპონელ სასაკისთან (15:0) და შტოტმაისტერთან (გდრ, 5:1), ვფიქრობ საკმარისია მის დასახასიათებლად. ლევანი კი გვიყვება — შოთას სოფიაში პირველ ნომრად წაყვანის საკითხი სათუოდ იდგა. [illegible] ცდებოდა [illegible] მწვრთნელი. ლომიძემ ყველას დაანახვა, თუ რა შეუძლია მას. იგი ჭეშმარიტად ჩემპიონთა შორის პირველი ჩემპიონი იყო.

შეკითხვაზე, — რა მოუვიდათ თურქ მოჭიდავეებს, — ჩვენმა ფალავნებმა ასე გვიპასუხეს: ამ ქვეყანაში ხდება მოჭიდავეთა თაობის ცვლა, საერთოდ კი ეს სახეობა თურქეთში დაქვეითდა. ამას გვინდა დავძინოთ, რომ ამერიკელები სოფიაში საუკეთესო შემადგენლობით არ ჩამოსულან. ჩანს ისინი უფრო მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობას უმიზნებენ.

და, ბოლოს, გვინდა ვიცოდეთ, თუ როგორია ჩვენი ფალავნების გეგმები. შოთამ და ლევანმა ამაზე ასე გვიპასუხეს: ვფიქრობთ მსოფლიო ჩემპიონობას ოლიმპიური მედლებიც დაამშვენებს და მიუნხენის ხალიჩაც გვინდა მოვსინჯოთ. კარგი სურვილებია, დაე აღსრულდეს!

ვ. გაბელია.

გავლილია ორი წრე

სოფიაში გრძელდება შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ევროპის პირველობაზე, პირველი წრე საბჭოთა ათლეტებმა დაუმარცხებლად განვლეს, მათ შორის ორმა კი წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

საშუალო წონაში ვ. რეზანცევმა (ალმა-ატა) მეორე წუთზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა მერმთან (შვეიცარია) შეხვედრაში. მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონ რ. რურუას (მსუბუქი წონა) უპირატესობა აშკარა იყო ტუნისელ სუდანისთან, რომელიც გაურბოდა მეტოქეს. სამი გაფრთხილების შემდეგ ტუნისელმა მოჭიდავემ დისკვალიფიკაცია მიიღო. ქვემსუბუქი წონის ტაშკენტელ რ. კაზაკოვს არგენტინელ მეტიალოსთან ორთაბრძოლაში გამარჯვება მიეკუთვნა აშკარა უპირატესობისათვის. ასპარეზობის პირველ მოულოდნელობას წარმოადგენდა ა. როშჩინის ფრე რუმინელ დოლიპსკისთან შეხვედრაში.

პარტია გადაიდო

ამსტერდამი, 4 სექტემბერი. (ხაკდესი). მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეათე პარტია ნანა ალექსანდრიასა და იუგოსლავ მოჭადრაკე მილუნკა ლაზარევიჩს შორის დაუმთავრებელი დარჩა. იგი გადაიდო 41-ე სვლაზე.

სპორტი

ბუენოს-აირესში 30 სექტემბერს...

ვანკუვერში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილებით მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჭადრაკში საბჭოთა და ამერიკელ გროსმაისტერებს — ტ. პეტროსიანსა და რ. ფიშერს შორის გაიმართება ბუენოს-აირესში. ასპარეზობა 30 სექტემბერს აიღებს სტარტს.

ბუენოს-აირესში მატჩის გამართვა გადაწყდა წილისყრით. საქმე იმაშია, რომ ამ ორი გამოჩენილი მოჭადრაკის მატჩის გამართვის ადგილად გარდა ბუენოს-აირესისა დასახელებული იყო ათენა. ამიტომ საჭირო გახდა წილისყრა. ფინალური მატჩი 12 პარტიისაგან შედგება.

ჩემპიონატი სოხუმში

სოხუმი. 4 სექტემბერი. (ტელეფონით საქ. კორ.). დღეს აქ ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში.

მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების აღიარებული მოშაშეები — მსოფლიოს ჩემპიონი ი. ანდრეიკო, ვ. შიჟგოლევი, ა. განტვარგი, ტ. სეიბრანტსი, პ. ლეგერი და სხვები. ჩემპიონატი 18 სექტემბრამდე გაგრძელდება.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

საბედისწერო გზაჯვარედინი

პეკინისა და საბურთალოს ქუჩების ხიფათიან გადაკვეთაზე კიდევ ერთი ავტოავარია მოხდა... ერთმანეთს დაეჯახნენ და დაილეწნენ ავტობუსი, რომელიც № 2656 ავტოკოლონას ეკუთვნის და რომელსაც ს. გორელიშვილი მართავდა, მსუბუქი ტაქსების მესამე ავტოსატრანსპორტო კანტორის ტაქსი (მძღოლი გ. გვრიტიშვილი) და თელავის ხე-ტყის ბაზის საამქროს უფროსის ე. ორკოდაშვილის კუთვნილი „ვოლგა", რომლის საჭეს სოფელ ნაფარეულის ღვინის ქარხნის საამქროს გამგე ი. არჩუაშვილი მართავდა.

ჩვენ ახლა არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რომელმა მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები და ვინ არის დამნაშავე. ამას იმედია ექსპერტიზა და გამოძიება დაადგენს. ეს კია, რომ ი. არჩუაშვილიც, გ. გვრიტიშვილიც და გ. გორელიშვილიც თავიანთ სასარგებლოდ ლაპარაკობენ — პეკინისა და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთაზე თითქოს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მწვანე ქუჩა ჰქონოდა გახსნილი. რას იზამ — აქ ჯადოსნური შუქნიშანი ყოფილა.

თბილისში რამდენიმე ქუჩაა, სადაც ტრანსპორტის, როგორც იტყვიან, გიჟური მოძრაობაა. ამ ადგილებზე ავტოინსპექციის მუშაკებს მეტი ხიფხიზლე და ყურადღება მართებთ. პეკინისა და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთა კი, შეიძლება ითქვას მარტო მოშლილი ავტომატიკის ანაბარაა მიტოვებული. ამ დიდ მოძრაობასა და ხმაურში ავტოსაგზაო ზედამხედველს აქ ვერ ნახავთ. როცა ავარია მოხდება — ეს კი ამ ადგილას არც თუ ისე იშვიათია, — გაუთავებელი უურთწამლები გროვლისაგან თავმობეზრებული რომელიმე მოქალაქე გამოუძახებს საავარიო მორიგეს და მაშინ მოდის შემთხვევის ადგილზე ავტოინსპექციის მუშაკი ოქმისა და ნახაზის შესადგენად. მარტო ასეთი ჩარევა, რასაკვირველია, საქმეს ვერ უშველის.

უაღრესად გადატვირთული პეკინისა და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთაზე ტრანსპორტის მოძრაობა გონივრულად უნდა მოწესრიგდეს.

ავტომანქანების ოთხმხრივი მუდმივი ნაკადი საფრთხეში აგდებს ათასობით ქვეითად მოსიარულის სიცოცხლესაც. ამიტომ ნამდვილად საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარდეს ამ სახიფათო გზაჯვარედინზე მიწისქვეშა გადასასვლელის გაყვანა.

ვ. ქოგალია.

იცნობდეთ, ჩვენი თანამემამულეა

ნებისყოფა

კაცმა, რომ მოინდომოს,
კლდეს გაარღვევს...

ილია ჭავჭავაძე

შახტის ერთ-ერთ მონაკვეთში მოხდა მძლავრი აფეთქება...

გაისმა განგაშის შემზარავი ხმა. ამოქმედდა მაშველი ძალები.

მხოლოდ ჩვიდმეტი საათის შემდეგ შეძლეს ნანგრევებში აღმოეჩინათ რვა გვირაბგამყვანი, მათ შორის შალვა ალექსანდრეს-ძე გავაშელი...

ეს მოხდა პერმის ოლქში — ქალაქ კიზილში 1933 წლის 24 დეკემბერს.

ამ საგანგებო შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს სერგო ორჯონიკიძეს... მიღებულ იქნა საჭირო ზომები ადამიანების სიცოცხლის შესანარჩუნებლად...

ერთის მეტი ყველა გადარჩა და ისინი ექიმების, ადმინისტრაციის განუწყვეტელი მეთვალყურეობის, მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ...

როგორც ყველაზე მძიმე ავადმყოფი, შალვა გავაშელი საოპერაციოდ ქალაქ მოსკოვში გადაიყვანეს. მან ხომ მხედველობა დაკარგა და თოთხმეტი სერიოზული ჭრილობა მიიღო...

—ახლა როგორ გრძნობთ თავს, ამხანაგო გავაშელო?

— უკეთესად ვარ, მაგრამ ვერაფერს ვხედავ, ყური მოვკარი, თითქოს ხელიც უნდა მომჭრან, მაშინ სულ დავიღუპები, რიღას მაქნისი ვიქნები...

— გული გაიმაგრე, ერთხელ კიდევ ვთხოვ ექიმებს მოითათბირონ, გნახონ და ყველაფერი იღონონ, რომ ხელი შეგინარჩუნონ. მთავარია ნებისყოფა არ დაკარგო, და ყველაფერი მოგვარდება...

სერგო ორჯონიკიძე სარეცელზე მიჯაჭვულ, გაოგნებულ ავადმყოფს დიდხანს ესაუბრა, მიუალერსა და დაამშვიდა...

სახალხო კომისრის პირადმა მზრუნველობამ შალვას სიხარულის ცრემლები მოჰგვარა და იმედით აღავსო... როცა დამშვიდდა, თანმიყოლებით გაახსენდა დედა, 1920 წლის გაზაფხულზე სოფელ ლებიდან ქალაქ კისლოვოდსკში რომ ჩაუყვანა მამას. იქ მალე გაიცნო და დაიახლოვა თანატოლები, შვიდწლედი 1931 წელს დაამთავრა, კომკავშირის რიგებში მიიღეს და იმავე წელს ოცდახუთიათასიან კომკავშირელთა საგზურით შახტში მუშაობის სურვილი გამოთქვა და პირველი წავიდა...

რვა თვეზე მეტი დაჰყო შალვამ მოსკოვის პირველ საავადმყოფოში. მას მედიცინის გამოჩენილი სპეციალისტების ჩარევით ხელი შეუნარჩუნეს. ხოლო ხედვა თხუთმეტი-ოცი პროცენტით დაუბრუნეს და მეორე ჯგუფის შრომის უნარმოკლებულად ჩათვალეს...

შალვა გავაშელი კვლავ კისლოვოდსკში დაბრუნდა მშობლებთან, ავადმყოფობისაგან დასუსტებული თვრამეტი წლის ვაჟკაცი.

— მეგონა, ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის, — გაიხსენა შალვამ, — სამუდამოდ დავბეჩავდი, სახლში ჯდომა დამეკვება და მშობლების, მეგობრების, ამხანაგების ანაბარა დავრჩი. ასეთ გულსაკლავ ფიქრებს დავუპირისპირე ნებისყოფა, ახლობლების გამხნევება, მხარდაჭერა და ხელი მოვკიდე ძალოსნობაში სისტემატურ, ინტენსიურ ვარჯიშს.

იმედი არ გაუცრუვდათ შალვას და მის მეგობრებს. ორი წლის შემდეგ გამართულ პირველობაზე იგი ნახევრად მძიმე წონაში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

სპეციალისტების რჩევით შალვა 1936 წელს შედის თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში და მისი სახელმოხვეჭილი მასწავლებლების ირაკლი ყანჩელის, ალექსი ტარასევიჩის, კოკა მეიფარიანის, ალექსანდრე ჯორჯაძის ხელშეწყობითა და დახმარებით წარმატებით ამთავრებს ტექნიკუმს.

კისლოვოდსკში დაბრუნების დღიდან შალვა გავაშელი მონდომებით ჩაება სპორტულ ცხოვრებაში. ოცდაოთხჯერ გახდა სტავროპოლისა და ორჯონიკიძის მხარეების ჩემპიონი ძალოსნობაში.

შალვა არა მარტო სანაქებო სპორტსმენი იყო, მან თავი გამოიჩინა აგრეთვე როგორც საუკეთესო აღმზრდელმა, პედაგოგმა და მეთოდისტმა. მას არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა დაუყენებია სწორ გზაზე. მათ შორის აღსანიშნავია წარსულში სპორტის ოსტატები — საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი გიორგი არუსტამოვი, სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე ვლადიმერ ბარათოვი, გენერალ-პოლკოვნიკი სერგო ამბარცუმიანი და მრავალი სხვა.

ღვაწლმოსილი სპორტსმენი, ჩვენი თანამემამულე ვინახულე საკუთარ ოჯახში იმ დროს, როდესაც იგი თავისი ცოლ-შვილით დედას — ეფროსინეს და მამას — ალექსანდრეს დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავს უხდიდა. იქ გავიცანი კეთილი, ამაგდარი, მხნე მოხუცების სანახავად მოსულნი — ლობჟანიძეები, გობეჯიშვილები, გოგრიჭიანები, გრძელიშვილები, რეხვიაშვილები, შარაშენიძეები, ხარებავები, მეტრეველები, საакაძეები, ტულუშები, ძნელაძეები, ბეროშვილები, ბურდულები, პაპელაშვილები...

ოთხი ათეული წლის განმავლობაში ქალაქ კისლოვოდსკში სპორტული კულტურის განვითარებისა და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის შალვა ალექსანდრეს-ძე გავაშელს მიენიჭა ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო სახელი. იგი ოცდახუთ წელზე მეტია თავმჯდომარეობს მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის კისლოვოდსკის საქალაქო საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს.

აი მისი შეუპოვარი ბრძოლის, განუზომელი ენერგიის, ნებისყოფის შედეგი.

გიორგი პაპიაშვილი.

• • •

სურათზე: შალვა გავაშელი.

ქ. კისლოვოდსკი.

ჩვენი კინოაფიშა

რკინის კარის საიდუმლო

მეოთხეკლასელი ტოლია რიჟაკოვი ჯადოსნური ასანთის ღერების მფლობელი გახდა. ბიჭი ბედნიერია: გაკვეთილების დასწავლა აღარ უნდა. ჯადოსნური ასანთის ღერების საშუალებით ტოლიამ ბევრი სასწაული მოახდინა. მიშკა პავლოვს ვიოლინოს დაკვრა შეასწავლა. მეგობრები — მიშკა და ტოლია ბევრ კეთილ საქმეს აკეთებენ, მაგრამ...

ევალდას მიკალიუნასმა, ანდრეი ხარებინმა, მიტია იუზოვსკიმ და სხვა პატარა „მსახიობებმა" საინტერესოდ გადმოგვცეს ბავშვის სამყაროს ფანტაზიის მრავალფეროვნება.

საბავშვო და ახალგაზრდული ფილმების გორკის სახელობის ცენტრალური სტუდიის ნაწარმოების „რკინის კარის საიდუმლოს" ავტორები არიან ალ. რეიუევსკი და მ. იუზოვსკი.

☐

პირმოთნეთა მიწა



რეჟისორმა ფათინ აბდელ ვაჰაბმა იუსუფ ას სიბაის რომანის მიხედვით გადაიღო ფილმი „პირმოთნეთა მიწა".

...წვრილმა მოხელემ მასუდმა ერთხელ გაზეთში წაიკითხა განცხადება, რომ იყიდებოდა აბები გულწრფელობის, სიცრუის, კეთილშობილების, მამაცობისა და პირმოთნეობისა...

ეს არაბული გროტესკული კომედია თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულ პირმოთნეობას, მექრთამეობასა და სიცრუეს ამათრახებს.

ПРАВДА
Сельская ЖИЗНЬ
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
ИНДУСТРИЯ
კომუნისტი
Комсомольская ПРАВДА
ГВАРДИЯ ТРУДА
ЗАРЯ ВОСТОКА
КОММУНИСТ

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1972 წლისათვის ყველგან დაიწყო ამა წლის 1 სექტემბრიდან.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა წარმოებს „სოიუზპეჩატის" განყოფილებებში, სააგენტოებსა და ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის ყველა საქალაქო და სასოფლო განყოფილებაში და თბილისის ფოსტამტში.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ჟურნალის გარდა, ყველა ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო ჟურნალ-გაზეთზე, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე 1972 წლისათვის ხელმოწერა გასტანს მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე.

აღნიშნული ვადის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1972 წლის თებერვალსა და შემდგომ თვეებზე.

„სოიუზპეჩატის" საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

5 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „დღის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მშვიდობით, მეგობრებო!", 13.30 — „კინოაფიშა", 14.00 — კინოპროგრამა, 14.30 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა" (გაგრძელებით), 16.05 — კინოპროგრამა, 17.00 — „გილოცავთ დღესასწაულს", 17.15 — კონცერტი — ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დაკვეთით, 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — ციკლიდან — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს". „ათასი ფუთი ბრალდება" — გადაცემა პირველი, 19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — „მწერალი და მკითხველი". 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი". 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო-გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

18.25 — კინონარკვევი, 19.00 — სტუდენტთათვის — მხაზველობითი გეომეტრია. 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ფილმი-ბალეტი „კარმენი" 21.10 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის. 22.10 — პოლონური მხატვრული ფილმი „თოჯინა" (II სერია).

6 სექტემბერი

პირველი პროგრამით

16.50 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.50 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — კინონარკვევი, 18.05 საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცეროდენას ეკრანი", 18.35 — განცხადებები, 18.40 — „დღეები და ადამიანები", 19.00 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 19.35 — „კანონი და კანონიერება", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კინონარკვევი. 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი", 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. ცსკა — „ტორპედო" (მოსკოვი) შეხვედრის მეორე ნახევარი (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — სპორტული პროგრამა. საერთაშორისო შეხვედრები ფრენბურთში საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის (გადმოცემა ლენინგრადიდან).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 03061

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.